ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 25 თებერვალი 2004 №41 (2060) ფასი 50 თეთრი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ილდლიში ილდლიაში

ბაიერნი — რეალი 1:1. ოლივერ კანის საბედისწერო შეცდომა


ლოკომოტივი — მონაკო 2:1. მიხეილ აშვეთიამ თამაში ერთი უგოლო ტაიმით ჩაამთავრა

მალხაზ ასათიანის ორმაგი დებიუტი: ლიგაში და მცველად

REUTERS მოსკოვიდან


გაზეთ კომერსანტის ფოტო

ფედერაციის პრეზიდენტი საგონებელშია

საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს ფეხბურთის პრეზიდენტობაც ინდომა

სახელისუფლო მიწისქვრის ბიჭებმა ფედერაციაც შეარყია

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

1/8 ფინალი. I მატჩები. წუხელ

ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) 2:1 **მონაკო** (საფრანგეთი)

1:0 იზმაილოვი (32), 2:0 მამინოვი (59), 2:1 მორიენტესი (69)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, სენიკოვი, **ასათიანი**, პაშინინი, გურენკო, ევსეევი, მამინოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი (ნიუგოროდოვი 82), იზმაილოვი (პარკსი 78), **აშვეთია** (ობიორა 46)

მწვრთნელი: იური სიომინი

მონაკო: რომა, იბარა, გივე, როდრიგესი, ევრა, ე. სისე, ზიკოსი, ბერნარდი, როტენი, პრსო (ადებაიორი 65), მორიენტესი

მწვრთნელი: დიდიე დეშანი

გაფრთხილება: პარკსი (90)

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

26 000 მაყურებელი

სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) 0:0 **მილანი** (იტალია)

სპარტა: ბლაჟეკი, პერგლი, ჰუბშმანი, იოჰანა, ლაბანტი, პობორსკი, რადოსლავ კოვაჩი, ზელენკა (შივოკი 90), მიხალიკი, ი. გლუშკევიჩი (ბარანეკი 74), სტაინერი (ვ. გლუშკევიჩი 85)

მწვრთნელი: ირჟი კოტრბა

მილანი: დიდა, კაფუ, კოსტაკურტა, მალდინი, პანკარო, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ინძაგი (სერჟინიო 85)

კახა კალაძე სათადარიგო იყო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: გატუზო (78), კაფუ (83)

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

20 640 მაყურებელი

ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) 1:1 **რეალი** (მადრიდი, ესპანეთი)

1:0 მაკაი (75), 1:1 რობერტო კარლოსი (83)

ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რობერტ კოვაჩი, ლიზარაზუ (სალიჰამიჯიჩი 46), ჰარგრივსი, დემიკელისი (იერემისი 90), ზე რობერტო, ბალაკი, მაკაი, პიზარო (სანტა კრუზი 76)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

რეალი: კასილიასი, სალგადო, ელგერა, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი, გუტი, ზიდანი, რაული, რონალდო (სოლარი 90)

მწვრთნელი: კარლუშ კეირუში

გაფრთხილება: ბალაკი (26), ზიდანი (49), დემიკელისი (60), რონალდო (89), ფიგუ (89)

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

59 000 მაყურებელი

სელტა (ვიგო, ესპანეთი) 2:3 **არსენალი** (ლონდონი, ინგლისი)

0:1 ედუ (18), 1:1 ლუის ედუ (27), 1:2 ედუ (48), 2:2 ხოსე იგნასიო (65), 2:3 პირესი (80)

სელტა: კავალიერო, ველასკო, ბერიზო, სერხიო, სილვინიო, ანხელი (ვაგნერი 64), ხოსე იგნასიო, მოსტოვოი, ლუქსენი, ლუის ედუ (პინილია 75), მილოშევიჩი

მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი

არსენალი: ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, კლიჩი (სიგანი 90), ლიუნგბერგი (ბენტლი 90), ვიეირა, ედუ, პირესი, ანრი, რეიესი (კანუ 78)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: სილვინიო (45), ედუ (87), ანრი (88)

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

21 000 მაყურებელი

საპასუხო მატჩები გაიმართება 10 მარტს

REUTERS პრაღიდან

სპარტა — მილანი. 90 წუთი ისე გაილია, ანდრეი შევჩენკომ იაროსლავ ბლაჟეკს ვერ აჯობა

ინგლისი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები

ძრიუ 0:1 შეფილდ იუნ.
მილუოლი 2:1 როტერჰემი
რედინგი 2:2 ბარნლი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები

კოლჩესტერი 1:4 პორტ ვეილი
გრიმსბი 3:2 ლუტონი
რაშდენი 2:1 ტრანმერი
ბორნმუთი 6:0 რეძსემი

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები

ბერი 1:1 საუთენდი
ტორკი 1:0 სკანთორპი
სუონსი 2:1 ლუტონი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები

ჰალიფაქსი 1:2 ალდერშოტი
შრიუსბერი 1:0 ბარტონი

ასოციაციის თასი
1/8 ფინალი. გადათამაშება

ვესტ ჰემი 0:3 *ფულემი*

შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩები

მოზერუელი 1:0 აბერდინი
ლივინგსტონი 2:3 ჰარტსი

ასოციაციის თასი
1/8 ფინალი. გადათამაშება

კლაიდი 0:3 *დანფერმლაინი*

ჰოლანდია

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

ემენი — ჰერაკლესი *გადაიდო*

ამხანაგური მატჩი

ფარერეები 4:2 ლუქსემბურგი

იაღლიში იღლიაში

ორთვიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონთა ლიგა მერვედფინალური ხიბლით გუშინ დაგვიბრუნდა, სამი ქართველიდან კი ორმა ითამაშა.

თოვლიან მოსკოვში ლაჟვარდოვანი სანაპიროს „მონაკო" მიხეილ აშვეთიას ორჯერ მალევე შეეძლო დაემწუხრებინა. ერთხელ ბურთს ვერ მისწვდა, ხოლო მეორედ ხელსაყრელი პოზიციიდან კარს აცილა.

აშვეთია პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, სამაგიეროდ, ჩემპიონთა ლიგის დონეზე საამო დებიუტი მოიწყო მალხაზ ასათიანმა. იური სიომინის ხელში მცველად გარდასახულმა ქართველმა თავისი მოვალეობა 90 წუთის მანძილზე, შეიძლება ითქვას, რომ ფრიადზე შეასრულა.

პირველი გოლი მარატ იზმაილოვმა ხუთიოდ მეტრიდან, გასრიალებული მცველების ფონზე შეაგდო, რომლებიც ფორვარდმა ორი კოხტა მოძრაობით დასცა და ფლავიო რომას მაღალ კუთხეში გაუტანა.

შესვენებამდე გამართულად მოთამაშე „ლოკომოტივმა" მეორე ტაიმიც კარგად დაიწყო და ანგარიშში სხვაობაც გაზარდა. ორბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება კარგი იქნებოდა, თუმც ფერნანდო მორიენტესმა ქებული თავური დარტყმა მოსკოველებსაც ცოცხლად აჩვენა.

მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე თავიდან ცალკარა გაჩაღდა. ცხადია, მასპინძლები გულმოდგინედ უტევდნენ „რეალს" და კარგი მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ იკენ კასილიასს პირველ ტაიმში ბურთი კარიდან ვერ გამოატანინეს. „ბაიერნიდან" განსაკუთრებით ზე რობერტომ მოინდომა, ალბათ იმიტომ რომ თავის დროზე „რეალში" ბედნაცადი ბრაზილიელი მადრიდმა არ დაიტოვა.

ესპანური გუნდის დაცვა აჭრილი იყო, ივან ელგერა კი ტყეში მხარნაცვალ კაცს ჰგავდა და ბურთებს ერთთავად საკუთარი კარისკენ სახიფათოდ იგერიებდა.

„ბაიერნი" მეორე ნახევარშიც ყინჩად გამოიყურებოდა, თუმც ჰიცფელდის ჯილა რიი მაკაი სადღაც ჩაიკარგა. მიმალულმა ჰოლანდიელმა სწორედ. მაშინ გამოყო თავი, როცა საჭირო იყო და პიზაროს პასი გოლად აქცია. „რეალს" „ოლიმპიაშტადიონზე" მორიგი მარცხი ელოდა, მაგრამ მატჩის ბედი ბრაზილიელისა და გერმანელი მეკარის დუელმა გადაწყვიტა, ისევე როგორც მსოფლიოს გასული ჩემპიონატის ფინალში. რობერტო კარლოსმა ჯარიმა ჩვეულად ძლიერად შეასრულა. ოლივერ კანმა ბურთი მოიგერია, მაგრამ ხელის უკუღმართი მოძრაობით იღლიაში გაიძვრინა და გოლიც გამოცხვა.

ვიგოში ედუებმა გაილაღეს. სტუმართა ედუმ გაიტანა, მასპინძლეთა ედუმ გაქვითა, მერე კვლავ „მეთოფეთა" ედუმ „არსენალი" დააწინაურა, მაგრამ „სელტამ" ისევ გაათანაბრა. ედუებმა რომ მოიწყინეს, ბოლოს რობერ პირესმა იყოჩაღა და გამარჯვების გოლი შეაგდო.

პრაღაში „მილანი" „სპარტას" უგოლოდ დაუზავდა. „ინტერთან" ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ „მილანი" დაშოშმინდა. ისე კი, სპორტელებისთვის შესვენებაზე „ინტერის" ფორმა რომ ჩაეცვათ, ჩეხებს ვინძლო „შავ-ლურჯთა" ბედი გაეზიარებინათ.

ვაჟა ხუციშვილი

ასათიანი სიომინის ეჟვანს ეჩვევა

აშვეთია ღონემ დაალონა

„ლოკომოტივ" — „მონაკოს" მატჩის შემდეგ მოსკოველ ქართველებს, მიხეილ აშვეთიას და მალხაზ ასათიანს შევეხმიანეთ. მეორე ტაიმში გაშვებული დასანანი გოლის გამო უხალისოდ კი იყვნენ, თუმც კოლენტარზე თავაზიანად დაგვთანხმდნენ

მიხეილ აშვეთია

— საწყენია, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა. დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო და 2:1-ს დავჯერდით. ძალიან გულდაწყვეტილი ვარ.

— ორი ჩინებული მომენტი გქონდა...

— ნუ გამახსენებ... იმ მომენტს ხომ ნებისმიერ დროს გამოვიყენებდი...

— ეტყობა, არამარჯვე მარჯვენა ფეხმა დაგაღალატა...

— არა, ეგ არაფერ შუაშია. იმ დროს აზრი არ ჰქონდა მარჯვენას დავარტყამდი თუ მარცხენას, მაინც უნდა გამეტანა. აქცენტი ძალაზე გადავიტანე და ამაში შევცდი. ტექნიკური დარტყმა იყო საჭირო. ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ სეზონის პირველი მატჩი ჩავატარეთ. სხვა შემთხვევაში ხომ სხვანაირად მოვიქცეოდი.

— თვლი რომ იმ მომენტმა მატჩზე გავლენა მოახდინა?

— არა მგონია ასე იყოს. საგოლე შანსი თითქმის ყველა ლოკომოტიველს ჰქონდა. სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ. მერე ერთი სულელური შეცდომა და ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა. არაუშავს, საპასუხო მატჩი წინაა.

— სტუმრად რა შანსი გაქვთ?

— ყურების ჩამოყრას არ ვაპირებთ. მით უმეტეს, მონაკოში ფრეც გვყოფნის. იმედი მაქვს, ყველაფერი საჩვენოდ დამთავრდება.

მალხაზ ასათიანი

— რამდენი გოლი უნდა გაგვეტანა და... სამწუხაროდ, მეტოქემ ერთი შეცდომაც არ გვაპატია. არადა, 2:0-ზე მონაკოში ფავორიტად ჩავიდოდით.

— ჩემპიონთა ლიგაში დებიუტი გქონდა...

— ვფიქრობ, ნორმალურად ვითამაშე. ვარსკვლავები არ მომიწყვეტია, მაგრამ თამაში ჩააგდოო, ვერავინ იტყვის.

— როგორ შეეჩვიე მცველობას?

— შეკრებაზე სულ ამ პოზიციაზე ვთამაშობდი და შეგუებული ვიყავი. თავიდან კი დავიბენი, მაგრამ თანდათან ვეჩვევი.

— „მონაკოს" გაგდება რეალური გგონია?

— მართალია, ანგარიში მთლად სასურველი არ არის, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია. თუ მოვინდომებთ, მეოთხედფინალშიც გავალთ. ჯერ არაფერი დაგვიკარგავს.

— თამაშის დროს იური სიომინი ძალიან ნერვიულობდა. ალბათ, ნამატჩევსაც გაღიზიანებული იქნებოდა...

— აბა, ასეთი ანგარიშის შემდეგ რა მოუვიდოდა?! არაუშავს, მალე დაწყნარდება და საპასუხო მატჩისთვის დაგვქოქავს.

კახა შალამბერიძე

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მერვედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

დეპორტივო — იუვენტუსი

ლა კორუნია. „ესტადიო რიასორი". მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

ოთხწლიანი დაძველებით

ეს კვირა „დეპორტივოს" მეკარემ ხოსე მოლინამ და ნახევარმცველმა მაურო სილვამ იმით დაიწყეს, რომ ერთიცა და მეორეც სკამზე ჩამოჯდა, რათა თანაგუნდელების ვარჯშისთვის ეცქირა. ეს ცხადია, ტრავმებით იყო განპირობებული, მაგრამ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი „იუვენტუსის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ — ორივე მოედანზე იქნება.

მარცხენა ფრთაზე, დიეგო ტრისტანის უკან საქმე ისეა, რომ აქ წესით, ჩვეულებისამებრ, ესპანეთის ნაკრების მოთამაშე ალბერტ ლუკე უნდა ვიხილოთ, არადა ეს კვირა მისთვის გუნდის მწვრთნელითან, ხავიერ ირურეტასთან შელაპარაკებით დაიწყო და ორშაბათს ვარჯიშიდან ადრეც კი წავიდა, აქაოდა, თქვენთან ყოფნა არ მინდაო. სხვა საქმეა, რომ ირურეტამ წყენა ჩაყლაპა და ინციდენტი ჩაფარცხა.

ხოლო „იუვენტუსის" მწვრთნელს, მარჩელო ლიპის იმედი აქვს, რომ მოედანს დაუბრუნდება ბებერი ქალბატონის მთავარი მეგოლე, ფრანგი დავიდ ტრეზეგე, რომელმაც სერია A-ს ბოლო ტურის მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა.

სხვა მხრივ ლიპის ყველა ჯანმრთელად ჰყავს ხორვატი მცველის, იგორ ტუდორის გარდა, თუმცა ტუდორის ამბავი ამჯერად ტრეზეგესაზე უმნიშვნელოა. თუ ტრეზეგე დაბრუნდება, თავდასხმაში ალესანდრო დელ პიეროს მეწყვილე მარკო დი ვაიო ვერ იქნება, მას ფრანგის სასარგებლოდ სკამზე გადანაცვლება მოუწევს.

ნახევარდაცვის შუაში, ალბათ, ალესიო ტაკინარდისა და სტეფან აპიას წყვილი დატრიალდება, ხოლო მათ უკან, დაცვის ცენტრში ნიკოლა ლეგროტალიე და პაოლო მონტერო იქნებიან. შესაბამისად, ჩირო ფერარაც სათადარიგოთა სკამზე დაჯდება.

საინტერესოა, რომ „დეპორტივო ლა კორუნიასა" და „იუვენტუსს" ერთმანეთში ექვსჯერ უთამაშიათ, აქედან „დეპორტივომ" ერთხელ მოიგო და ერთხელ მოიგო „იუვენტუსმაც", ხოლო დანარჩენი ოთხი თამაში ფრედ დასრულდა. ლაკორუნიელთა გუნდში ყველაზე სახიფათო დიეგო ტრისტანი გახლავთ. იგი ევროშეჯიბრებებში დღევანდელი „დეპორტივოს" ყველაზე უხვგოლიანი თავდამსხმელია, 15 გოლი აქვს შეგდებული და ეს ზოგადად „დეპორტივოს" რეკორდიც გახლავთ, ოღონდ „ისტორიულ შედეგს" მასთან ერთად როი მაკაიც იზიარებს, მასაც 15 გოლი აქვს შეგდებული.

სასეიროა, რომ „დეპორტივო" და „იუვენტუსი" ბოლო ოთხი წელიწადია ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგაში ამა თუ იმ ეტაპზე ხვდებიან.

რაც შეეხება „იუვენტუსს", ამ გუნდშიც, ლაკორუნიელთა მსგავსად, ყველა დროის ევრობომბარდირი და დღევანდელი „იუვეს" მეგოლეთა ლიდერი ერთი და იგივე ადამიანია — ალესანდრო დელ პიერო, მისი „ისტორიული" შედეგი 33 გოლია.

პაპუნა კედია

ნურედინ ნაიბეტი და ალესანდრო დელ პიერო ძველი მეტოქეები არიან

საკვარაულო შემადგენლობები

დეპორტივო

მოლინა, სკალონი, ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, რომერო, ვიქტორი, მაურო სილვა, სერხიო, ვალერონი, ტრისტანი, ლუკე

იუვენტუსი

ბუფონი, ტურამი, ლეგროტალიე, მონტერო, ძამბროტა, კამორანეზი, ტაკინარდი, აპია, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე

სოსიედადი — ლიონი

სან სებასტიანი. „ესტადიო ანოეტა". მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

ჟაჩაღი დარკო და გულარხეინი ფრანგები

გრეგორი კუპეს დარკო კოვაჩევიჩი ჰეთ თრიქით დაემუქრა

ფრანგ რეინალდ დენიოს „სოსიედადი" დღეს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, ბასკურ „ანოეტაზე" ფრანგებისვე „ლიონს" უმასპინძლებს და (საერთაშორისო საშინაო მატჩში, სანსებატიანელები არ დამარცხებულან), შეეცდება, პოლ ლეგუენის ლაშქარი დაჯაბნოს. ბასკები საამსეზონო პრიმერადივიზიონში აშკარად ცუდად გამოიყურებიან და მათი უპირველესი მიზანიც შესაბამისად, ლიგაში წარმატებების მიღწევაა. ბოლო შეხვედრა, რომელიც დენიოს შეგირდებმა ქვეყნის ჩემპიონატში ჩაატარეს, ანდალუზიურ „სევილიასთან" მარცხით დასრულდა, თუმცა „სოსიედადის" მთავარ ევროტურნირზე დებიუტანტურ სვლას თუ დავუკვირდებით, ეს წაგება დიდად არ უნდა გაგვიკვირდეს. „ანოეტას" ბინადრები თითქმის ყოველი საჩემპიონთალიგო შეხვედრის წინ პრიმერულ მატჩს აგებდნენ.

გალებთან საპაემნოდ რეინალდ დენიოს რუსი ვალერი კარპინი გამოაკლდება, რომელსაც მარცხენა ფეხი სტკივა. და თუ ასე მოხდა, სლავ ფეხბურთელს ან კორეელი ლი ჩუნ სუ შეცვლის, ვინც პრიმერაში მონაწილეობისა არა უწყის რა, მაგრამ ლიგაში ბურთაობის გამოცდილება დაჰგროვებია, ან კიდევ ჯანზე მყოფი სათადარიგო ხაბი ახიეტო. სხვამხრივ ბასკების ლაზარეთი ცარიელია და მომხვდურნიც „ლიონს" ემუქრებიან: „სოსიედადი" სუსტი გუნდი არაა. მიუხედავად ჩვენი საპრიმერო ჩავარდნებისა, მეტოქეს რთული შერკინება ელის" — აცხადებს რეინალდ დენიო. არანსაბალი, ვიტორ ალკისა, ნიჰათი, ხავიერ დე პედრო — ყველა ეს მობურთალი გამოჯანმრთელდა.

ლიონის „ოლიმპიკს" საამსეზონოდ არა უშავს — საფრანგეთის პირველობაზე მეორე ადგილზეა, ტრავმირებული მეომრებიც არ ჰყავს და ბასკებთან ვიზიტიც არ აშინებს.

ბოლო დღეებში ბევრს საუბრობდნენ ჟუნინიო პერნამბუკანოს ტრავმაზე, მაგრამ ბრაზილიელი აუცილებლად ითამაშებს. ოკეანისგაღმელი ჯოვანი ელბერიც ფორმაშია, ასე რომ, ლიონელთა ბურთაობას არც ივი დააკლდება. გუნდში იმედიანი განწყობაა, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მახარებს, „ანოეტზე" შეხვედრა კი არის ჩვენი გეგმის პირველი ნაწილი, გეგმისა, რომლის წარმატებით დაგვირგვინებასაც ვვარაუდობთ" — „დამპყრობლურ" ზრახვებს არ მალავს პოლ ლეგუენი.

ბასკ თუ ფრანგ ინჩასებს კი სანახაობრივად ლამაზი ჯახი ელით — ორივე გუნდი საკმაოდ მიმზიდველი სტილის მიმდევარია. განსაკუთრებით გოლმოწყურებული მასპინძელთა დარკო კოვაჩევიჩი ყოფილა, ვინც ფრანგთა კარის არც მეტი, არც ნაკლები, სამგზის აღებას აპირებს: „ძალიან მინდა, ჩემი მწირეგოლიანი სეზონი „ლიონთან" მატჩში წარსულს მივაბარო. გრეგორი კუპესთვის ჰეთ თრიქი გავამზადე" — უთხრა ესპანულ მარკას" დარკომ. შეგახსენებთ, ეს იმ სერბის ყაჩაღური დანაქადნია, უკანასკნელი 20 შეხვედრის განმავლობაში ოდენ ერთი ბურთით რომ უხეირია...

ლადო ხომერიკი

საკვარაულო შემადგენლობები

სოსიედადი

ვესტერფელდი, არანსაბალი, ხაურეგი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ალკისა, ჩ. ლი, გაბილონდო, კოვაჩევიჩი, ნიჰათი

ლიონი

კუპე, დეფლანდრე, მიულერი, ედმილსონი, რეველიერი, მ. დიარა, ესიენი, ჟუნინიო პერნამბუკანო, მალუდა (ან კარიერი), გოვუ

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

პორტუ — მანჩესტერი

პორტუ. „დაშ ანტაში". მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

იბურთავეთ და ისიამოვნეთ

„პორტუს" გარემარბები სერჟიუ კონსეისაუ და ბრაზილიელი მასიელ კუნია ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ, ამიტომ მათ ნაცვლად „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ კარლოს ალბერტო და ედგარას იანკაუსკასი იქნებიან მოედანზე. კიდევ, მასპინძელთა ბანაკიდან ნახევარმცველის, მანიკე რიბეირუს ამბავია ეჭვქვეშ, მიზეზი ამ შემთხვევაშიც ჯანმრთელობაა — რიბეირუს კოჭი სტკივა.

რაც შეეხება ფრანსისკო კოშტინიას, იგი დისკვალიფიცირებულია და მის მაგივრად რუსი დმიტრი ალენიჩევი ითამაშებს. გარემარბი სესარ პეიშოტო, ბრაზილიელი თავდამსხმელი დერლეი სილვა და ნახევარმცველი მარკო ფერეირა კი ისევ და ისევ საექიმონი დარჩნენ.

„ჩვენ ამ შეხვედრას უშიშრად და ფეხბურთით სიამოვნების მისაღებად შევხვდებით" — ამბობს „პორტუს" მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში რას იზამს არავინ იცის, პორტუგალიის პირველობაზე ცხრილში კი პირველ ადგილზეა, უახლოეს მდევარს შვიდი ქულით უსწრებს.

მიკაელ სილვესტრი პორტუში კი არა, სამი კვირა ვერ ითამაშებს

და რა ხდება „მანჩესტერ იუნაიტედში" ამ შეხვედრის წინ? ინგლისის ჩემპიონს დაცვაში აქვს პრობლემა, რადგან ფრანგი მცველი მიკაელ სილვესტრი კოჭნატკენია და სამი კვირის მანძილზე ბურთს ვერ გაეკარება.

ბუნებრივია, მხოლოდ სილვესტრის არყოლა მთლად სერიოზულ პრობლემად ვერ მოინათლებოდა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ „იუნაიტედს" რიო ფერდინანდი ჰყავს დისკვალიფიცირებული, პლუს ვეს ბრაუნი ტრავმის გამო კარგა ხანს რომ ვერ თამაშობდა, გამოჯანმრთელების მერე ფორმა ვერა და ვერ აღუდგენია.

ასე და ამგვარად, „მანჩესტერ იუნაიტედის" დაცვის ცენტრში ჯონ ოშის მოუწევს ფხიზლად ყოფნა, რაშიც გვერდზე მდგომი კაპიტანი რიო კინი დაეხმარება.

თავდასხმაში, სავარაუდოდ, ფრანგი ლუი საჰა გამოჯანმრთელდება და ჩემპიონთა ლიგასაც დააჭაშნიკებს.

„მანჩესტერ იუნაიტედი" და „პორტუ" სულ ოთხჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. აქედან ორი თამაში „მანჩესტერ იუნაიტედმა" მოიგო, ერთი „პორტუმ" და ერთიც ფრედ დასრულდა.

საინტერესოა, რომ ევროთასებზე პორტუგალიაში „პორტუს" და ამა თუ იმ ინგლისური გუნდის ბოლო სამი შეხვედრა 0:0 დასრულდა. ამ სამ თამაშს შორისაა 1996-97 წლების ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში საკუთრივ „მანჩესტერ იუნაიტედის" ვიზიტიც, მაგრამ სხვა მხრივ ინგლისის ამ გუნდს დამშვიდება არ მართებს. საქმე ის გახლავთ, რომ „იუნაიტედისთვის" პორტუგალიაში ვიზიტი მაინცდამაინც კარგის ნიშანი სულაც არ გახლავთ. 1977-78 წლებში მანჩესტერელებმა „პორტუსთან" 0:4 წააგეს, ხოლო 1963-64 წლებში ლისაბონში „სპორტინგმა" 5:0 აჯობა.

„პორტუს" ინგლისურ კლუბებთან სულ ორი მოგება, ოთხი ფრე და ექვსი წაგება აქვს და ამ ექვსი წაგებიდან ექვსივე ინგლისში...

პაპუნა კედია

სავარაუდო შემადგენლობები

პორტუ

ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, ალენიჩევი, პ. მენდეში, დეკო სოუზა, კარლოს ალბერტო, მაკკარტი, იანკაუსკასი

მანჩესტერი

ჰოვარდი, გ. ნევილი, კინი, ოში, ფორჩუნი, ბათი, ფ. ნევილი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი, საჰა



„პორტუს" ცხვირგატეხილი მასიელ კუნია დაკლდება

შტუტგარტი — ჩელსი

შტუტგარტი. „გოტლიბ-დაიმლერშტადიონი". მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

შტუტგარტი შვიდით ოთხს იგებს

„შტუტგარტი" და „ჩელსი" 1998 წელს, თასების მფლობელთა თასის ფინალში შეხვედრიან ერთმანეთს და მაშინ ლონდონელებმა ჯანფრანკო ძოლას ეული გოლით იმარჯვეს.

დღევანდელ შეჯახებამდე ორივე გუნდს საკმაოდ თვალისმომჭრელი სტატისტიკა აქვს. გარდა ამისა, მათი საამსეზონო ბედიც მსგავსია. „შტუტგარტმა" და „ჩელსიმ" ჩემპიონატი რიხიანად დაიწყეს, მაგრამ შუა ზამთარში ძალები გამოეფიტათ. გერმანელები ბუნდესლიგას თვეების განმავლობაში ლიდერობდნენ, თუმც პირველი წრის ბოლოდან აიწეწნენ. ახლა „ვერდერს" ათი ქულით ჩამორჩებიან და საჩემპიონო შანსებიც გვარიანად შეუმცირდათ. ფელიქს მაგათის შეგირდთა უკუსვლა გასაგებია და მოსალოდნელიც იყო, თუ გუნდის მოკლე სკამს გავითვალისწინებთ.

ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს შანსი მიეცა

რაც შეეხება „ჩელსის" — ლონდონელები გასულ ზაფხულს რომან აბრამოვიჩისგან ჩაფულიანდნენ და „მანჩესტერ". „არსენალის" ბატონობის დამხობა ეწადათ. კლაუდიო რანიერის რუსმა ბიზნესმენმა ბღუჯა-ბღუჯა „ვარსკვლავები" უყიდა, მაგრამ წარმატების გარანტად ვერც ეს პირობა იქცა. „ჩელსი" მესამე ადგილზეა, ისევე როგორც „შტუტგარტი" და, დღევანდელი მეტოქის მსგავსად, ჩემპიონობისთვის ბრძოლას ალბათ ნაადრევად ჩამოშორდა.

ზემოთ სტატისტიკა ვახსენეთ და ამ მხრივ რამდენიმე საინტერესო ფაქტი არსებობს. ევროთასებზე „შტუტგარტი" შინ 1998 წლის შეჯმოდგომის შემდეგ არ დამარცხებულა. მას აქეთ ათჯერ უმარჯვია და მეტოქეებს ორჯერ დაუზავდა. აღსანიშნავია, რომ გერმანელებმა ევროეგიდით გამართული ბოლო შვიდი საშინაო შეხვედრა მიჯრით მოიგეს.

„შტუტგარტი" ბრიტანელებს სულ რვაჯერ გადაეყარა. აქედან ორჯერ სძლია, ერთხელ ფრით გაეყარა, ხუთჯერ კი დამარცხდა.

თავისებური რეკორდის მფლობელია „ჩელსი". ლონდონელებმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოყოლებული სტუმრად გამართული ოთხი მატჩიდან ოთხივე მოიგეს, თან ისე, რომ გოლი არ გაუშვიათ. მთლიანობაში გერმანულ გუნდებთან ხუთი შეხლიდან „არისტოკრატებმა" სამი მოიგეს, თითოჯერ კი წააგეს და ფრედ ითამაშეს.

შტუტგარტში კლაუდიო რანიერიმ 21 ფეხბურთელი ჩაიყვანა. მათ შორის რუმინელი ფორვარდი ადრიან მუტუ, ხუან სებასტიან ვერონი და ემანუელ პეტი ვერ მოხვდნენ. რუმინელი წინა უქმეებზე „არსენალთან" მატჩში დაშავდა. ექიმებმა მას შინ დარჩენა ურჩიეს. ვერონი და პეტი უკვე დიდი ხანია, ავადობენ.

რანიერისთვის ერთი კარგი ამბავი მაინც მოხდა. დეკემბრის შემდეგ ტრავმირებული დემიენ დაფი მომჯობინდა და იგი გასული კვირის განმავლობაში გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობდა. „ჩელსის" დასტაქარი მაინც ფრთხილობს და მწვრთნელს სთხოვა, თუ აუცილებელი არ იქნება, ირლანდიელს ნუ ათამაშებ, რადგან თუ ტრავმა ხელახლა გაუმიზეზდა, შესაძლოა, დაფი ფეხბურთს კიდევ სამი თვით ჩამოსცილდესო.

„არსენალთან" არ უთამაშიათ კარლო კუდიჩინის და ერნან კრესპოს, დღეს კი კრესპო ძირითად შემადგენლობაში იქნება. მუტუს არყოფნაში თავის გამოჩენის საშუალება ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს და ეიდურ გუდიონსენს ექნებათ, რომლებიც მეტწილად თადარიგში არიან.

მასპინძლებს სრული საბრძოლო შემადგენლობა ჰყავთ. ფელიქს მაგათის განსაკუთრებით დაცვის ბურჯ მარსელო ბორდონის გამოჯანმრთელება ახარებს.

მაშ ასე, საინტერესოა, დღეს რომელი გუნდის გამარჯვებათა სერია გაგრძელდება, მასპინძლების საშინაო თუ „ჩელსის" სტუმრული?

ვაჟა ხუციშვილი

სავარაუდო შემადგენლობები

შტუტგარტი

ჰილდებრანდი, ჰინკელი, ჟივკოვიჩი, ბორდონი, ლამი, მეირა, სოლდო, მაისნერი, გლები, კურანი, საბიჩი

ჩელსი

სალივანი, მელხიოტი, გალასი, ტერი, ბრიჯი, გრონკიაერი (ან დაფი), მაკელელე, ლამპარდი, ჯერემი, კრესპო (ან ჰასელბაინკი), გუდიონსენი

„შტუტგარტს" მარსელო ბორდონი დაუბრუნდა

დაცემა

გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა, რუდი ფიოლერმა კარგად იცის, რომ მეკარეთა არჩევანით განებივრებულია. მის განკარგულებაში ერთბაშად ორი მსოფლიო კლასის მეკარეა, ოლივერ კანი და იენს ლემანი. თუმცა სწორედ ეს გახლავთ დამატებითი პრობლემის მიზეზიც: ფიოლერს არჩევა უწევს, ხოლო ზემოთ ნახსენები პროფესიონალები ერთმანეთს, ფაქტობრივად, არც ელაპარაკებიან.

კანის გამო ლემანს ტყავს აძრობენ

ამას წინათ, მოგეხსენებათ, ლემანმა, რომელიც ლონდონის „არსენალში“ თამაშობს, საჯაროდ გაილაშქრა საძულველი კოლეგის წინააღმდეგ. მან კერძოდ თქვა, რომ ნომერ პირველი მეკარე სწორედ ის უნდა იყოს და ზედაც კანის ცხოვრების წესზე საკმაოდ ხმაურიანი განცხადება დააყოლა. ამის გამო ფიოლერს, როგორც ნაკრების მწვრთნელს, ლემანის დასჯა მოსთხოვეს. ამბობენ, ის მალე მართლაც აპირებს ინგლისის დედაქალაქში წასვლას და მეკარესთან საუბარსო.

„ერთი ხანია, გული მიგრძნობდა, რომ რაღაც ხდებოდა, მაგრამ საქმე აქამდე თუ მივიდოდა, ნამდვილად არ მეგონა. ახლა იმას გავაკეთებ, რაც სწორად მიმაჩნია. ვერანაირი ემოციით ვერ დავბრმავდები, იენსს ენახავ და ვითარებას სრულიად მშვიდად და წყნარად ავუხსნი“.

ლემანის ინტერვიუ, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, გასულ კვირას ჟურნალ „კიკერში“ გამოქვეყნდა. მართლაც, „დორტმუნდიდან“ „არსენალში“ გადასვლის შემდეგ 34 წლის ლემანი ჩინებულად თამაშობს, ხოლო მისმა ტოლმა კანმა, რომელიც მოგეხსენებათ, მიუნხენის „ბაიერნის“ კარს იცავს, ამ სეზონში რამდენიმე, მისთვის უჩვეულო უხეში შეცდომა დაუშვა.

„მე თუ მკითხავთ, ლემანი ისე თამაშობს, რომ მართალი უნდა იყოს — განაცხადა „არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა შაბათს, „ჩელსის“ 2:1 ძლევის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ლონდონელები პრემიერლიგაში დაუმარცხებლად მიდიან — ყოველ შემთხვევაში, ვინც მას ინგლისის პირველობის ყოველ ტურში ადევნებს თვალს, დამეთანხმება, რომ „არსენალისთვის“ შეუცვლელია. ოლივერ კანს პატივს ვცემ, თუმც პატივს ვცემ ადამიანებს, რომელთაც სურთ საუკეთესონი იყვნენ. ლემანი ასეთია. საბოლოოდ კი, ნაკრების კარს ვის ანდობს, ბუნებრივია, ფიოლერის გადასაწყვეტია“.

ოლივერ კანი გახლავთ გოლკიპერი, რომელიც მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ ფიფამ შეჯიბრების საუკეთესო მეკარედ დაასახელა. ის გერმანელთა ეროვნული გუნდის კარს დაახლოებით ექვსი წელიწადია იცავს და ბოლო წლებში ამ გუნდის კაპიტანიც გახლავთ. ნაკრებში ოლივერ კანს 66 თამაში აქვს ჩატარებული.

ამ რაოდენობის ფონზე ლემანის 16 მატჩი, დაგვეთანხმებით, მოკრძალებულია.

ლემანი კანთან ცუდ ურთიერთობას არ მალავს და არც გამწვავებას ერიდება — საყოველთაო აზრით, საჯაროდ სხვის პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი გამწვავებაა და მეტი არაფერი. როდესაც „კიკერმა“ ჰკითხა, ყველაფერს ერთმანეთში საუბრით რატომ არ მოაგვარებთო, მან უპასუხა:



რუდი ფიოლერს იენს ლემანის დასჯა მოსთხოვეს

„არ ვიცი, როგორ ველაპარაკო. მე არც 24 წლის გელფრენდი მყავს და საერთოდაც, სხვა ცხოვრებით ვცხოვრობ“.

„ლემანის განცხადებებმა ძალიან მატკინა გული — განაცხადა კანმა, რომელიც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც გერმანიის ნაკრების კარში დგომას გეგმავს — ამაზე დაბლა დაცემა აღარ შეიძლება“.

აღსანიშნავია, რომ ლემანმა შემდეგ ბოდიში მოიხადა, მაგრამ...

ფრანც ბეკენბაუერი, „ბაიერნის“ პრეზიდენტი და გერმანიის ყველაზე გავლენიანი საფეხბურთო პიროვნება:

„ლემანის განცხადებები არაკოლეგიალური და მდაბიურია. რუდი ფიოლერი ვალდებულია ყველაფერი აწონ-დაწონოს და ადექვატურად მოიქცეს“.

აღსანიშნავია, რომ ეს მდგომარეობა ძალიან კარგად არის ცნობილი „კაიზერ ფრანცისთვის“, რომელიც 1986 წელს გერმანიის ნაკრებს ედგა სათავეში. მაშინ ნაკრების კარს ცნობილი ჰარალდ, იგივე ტონი შუმახერი იცავდა, სათადარიგო მეკარემ, ული შტაინმა კი ბეკენბაუერი გალანძღა. მაშინ მწვრთნელმა შტაინი გუნდიდან გააგდო, შინ გაუშვა.

საკუთრივ კანი წლების განმავლობაში ანდრეას კეპკეს სათადარიგო გახლდათ. კეპკე 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ „გადადგა“ და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა მთავარი გოლკიპერი, მაგრამ ლემანის შემთხვევა სხვაა, იგი კანის შემდგომ ეპოქას ასაკის გამო ვერ დაუცდის.

კანის კრიტიკით, როგორც ამბობენ, ლემანმა მხოლოდ კოლეგის წინააღმდეგ კი არ გაილაშქრა, მან გაილაშქრა ბოლო წლების ბუნდესნაკრებისა და საერთოდ, გერმანული ფეხბურთის სიმბოლოს წინააღმდეგ. აქ ის იგულისხმება, რომ გერმანულ ფეხბურთში სტილი ძალიან დიდწილად უტეხი სულით და მედგარი ხასიათითაა განპირობებული, ხოლო კანი შესახედავად, ქცევით და ცხადია, კლასით, სწორედ „მეომართაგანია“.

პაპუნა კედია

შეიარაღებული და საშიში

ჯეი-ჯეი ოკოჩას დიზვილი არსენალის არსენალში

ბობოლა კლუბები მზამზარეულ ვარსკვლავებიჭვებს ეძებენ, ლონდონის „არსენალის“ მზვერავებმა კი ნიგერიაში 7 წლის ბალი შეიგულეს.

ალექს იოვბმ ინგლისელთა სკაუტების ყურადღება მიიპყრო, რაკილა თავისი გუნდის შემადგენლობაში 33 გოლი გაიტანა. ცხადია, არა ერთ და ორ მატჩში, მაგრამ მთავარი ეს არაა. ალექსი სახელოვანი ნიგერიელი მობურთალის, ჯეი-ჯეი ოკოჩას დისშვილია და ბიძისეული ნიჭი მის თამაშში უკვე შეიმჩნევა. „არსენალის“ სკაუტებმა გაიკვირვეს, არც კი ვიცოდით, თუ ოკოჩას ნათესავი იყოო.

„ბიძაჩემით ძალიან ვამყობ — თქვა ბალმა — მინდა, რომ მას დავემსგავსო და დიდი ფეხბურთელი გამოვიდე“. ოკოჩას დამ დასძინა: ჯერ სიარულიც კი არ შეეძლო და ბურთის ეპოტინებოდა. ფეხი რომ ადგა, მას შემდეგ ჯერარ მოწყვეტეთ და აგერ, „არსენალის“ დონის გუნდმაც მოგვკითხო.

გაჟა ხუციშვილი

იტალია

სერია B. XXVIII ტური

ტორინო 1:0 კომო

1:0 ტირიბოკი (4)

ატალანტა	28	13	13	2	38:18	52
ტერნანა	28	13	9	6	40:27	48
კალიარი	28	12	9	7	46:31	45
პალერმო	28	11	12	5	38:25	45
პიაჩენცა	28	12	9	7	29:24	45
მესინა	28	10	12	6	36:29	42
ლივორნო	28	9	14	5	34:27	41
ტორინო	28	10	10	8	38:31	40
კატანია	28	10	9	9	35:28	39
ტრიესტინა	28	9	11	8	37:37	38
სალერნიტანა	28	10	8	10	26:28	38
ნაპოლი	28	7	16	5	24:24	37
ფიორენტინა	28	8	13	7	32:35	37
ტრევიზო	28	8	12	8	28:28	36
ვერონა	28	8	11	9	35:36	35
ასკოლი	28	8	10	10	33:35	34
პესკარა	28	8	10	10	23:32	34
ვიჩენცა	28	7	12	9	27:28	33
ალბინოლეფე	28	8	8	12	24:37	32
ვენეცია	28	6	12	10	23:30	30
ბარი	28	6	9	13	29:38	27
კომო	28	6	9	13	21:33	27
ჯენოა	28	5	12	11	23:36	27
აველინო	28	1	12	15	21:43	15

თურქეთი

სუპერლიგა. XXII ტური

ელაზიგი 3:1 სებათი

1:0 ალთუნი (42პ), 1:1 კინალი (52), 2:1 ალთუნი (58), 3:1 კარაკაისი (78)

ბეშიქთაში	22	15	6	1	48:21	51
ფენერბაჰჩე	22	14	6	2	52:26	48
გალათასარაი	22	10	8	4	34:26	38
ტრაბზონი	22	11	5	6	30:27	38
დენიზლი	22	11	3	8	36:27	36
გაზიანთეფი	22	11	2	9	32:32	35
დიარბაქირი	22	9	7	6	35:29	34
სამსუნი	22	9	6	7	33:32	33
მალათია	22	8	8	6	31:23	32
გენჩლერი	22	9	4	9	39:29	31
ანკარაგიუჯიუ	22	7	5	10	30:36	26
კონია	22	5	10	7	30:35	25
რიზე	22	7	3	12	20:34	24
ისთანბული	22	6	5	11	29:31	23
სებათი	22	5	7	10	26:35	22
ელაზიგსფორი	22	4	6	12	25:48	18
ბურსა	22	3	8	11	17:28	17
ადანა	22	3	3	16	19:47	12

პორტუგალია

სუპერლიგა. XXIII ტური

ბოავიშტა 1:1 რიუ ავე

1:0 რიკარდუ სოუზა (21), 1:1 ჟაიმე (87)

პორტუ	23	18	5	0	51:14	59
სპორტინგი	23	16	4	3	44:23	52
ბენფიკა	23	14	5	4	45:23	47
ბრაგა	23	11	5	7	24:26	38
ნასიონალი	23	11	4	8	40:25	37
მარიტიმუ	23	9	10	4	25:20	37
ბოავიშტა	23	9	8	6	22:18	35
ბეირა მარი	23	10	5	8	32:29	35
რიუ ავე	23	7	9	7	26:22	30
მორეირენსე	23	7	7	9	18:25	28
ჟილ ვისენტე	23	6	9	8	31:28	27
ალვერკა	23	7	4	12	25:31	25
ლეირია	23	6	6	11	25:35	24
ბელენენსეში	23	5	8	10	26:42	23
აკადემიკა	23	6	4	13	22:28	22
ფერეირა	23	6	2	15	16:36	20
გიმარაეში	23	3	8	12	20:32	17
ამადორა	23	3	3	17	15:50	12

საფრანგეთი

დივიზიონი. XXV ტური

კაენი 2:2 ნიორი

1:0 ვატიე (38პ), 1:1 მიშელი (49), 2:1 მასური (50), 2:2 გარნუ (90)

ისტრი	25	14	6	5	29:12	48
ამიენი	25	13	6	6	27:17	45
სენტ ეტიენი	25	14	3	8	28:22	45
ნიორი	25	11	9	5	36:25	42
კაენი	25	11	9	5	34:23	42
ლორიანი	25	11	5	9	38:27	38
ლე ავრი	25	10	7	8	28:25	37
სედანი	25	9	10	6	19:20	37
ნანსი	25	8	11	6	30:22	35
შატორუ	25	9	8	8	29:30	35
ტრუა	25	8	10	7	26:27	34
კრეტეი	25	7	10	8	29:28	31
კლერმონი	25	7	10	8	29:39	31
გრენობლი	25	6	10	9	22:24	28
ვალანსი	25	6	9	10	27:34	27
ლავალი	25	5	10	10	32:38	25
ბეზანსონი	25	4	10	11	20:31	22
გენიონი	25	4	10	11	21:33	22
ანჟე	25	4	9	12	21:32	21
რუანი	25	3	10	12	18:34	19

გერმანია

II ბუნდესლიგა. XXI ტური

არმინია 1:0 უნტერჰახინგი

1:0 ბოაკიე (45)

ობერჰაუზენი	21	11	5	5	35:26	38
ნიურნბერგი	21	10	6	5	38:26	36
კოტბუსი	21	10	5	6	34:29	35
ალემანია	21	10	4	7	33:32	34
მაინცი	21	8	9	4	32:25	33
არმინია	21	9	4	8	30:24	31
კარლსრუე	21	9	4	8	23:25	31
ბურგჰაუზენი	21	8	6	7	29:24	30
დუისბურგი	21	7	8	6	31:27	29
ლიუბეკი	21	7	8	6	32:30	29
უნტერჰახინგი	21	8	5	8	30:30	29
რეგენსბურგი	21	6	8	7	28:31	26
ფიურტი	21	5	9	7	35:35	24
აუე	21	5	8	8	21:26	23
ტრირი	21	6	5	10	24:35	23
უნიონი	21	5	6	10	24:27	21
ალენი	21	6	3	12	20:33	21
ოსნაბრიუკი	21	5	5	11	21:35	20

ჰოლანდია

II დივიზიონი. XXIV ტური

ვეენდამი 1:1 იგლსი

0:1 კრუიერი (44), 1:1 კოლდერი (84)

ჰელმონდი	22	14	5	3	45:22	47
დენ ბოსხი	23	14	4	5	55:30	46
ექსელსიორი	23	14	4	5	42:25	46
ჰერაკლესი	23	13	6	4	48:25	45
სპარტა	23	13	3	7	53:29	42
ვენლო	23	12	2	9	46:40	38
გრაააფსხაპი	23	10	7	6	35:27	37
ემენი	22	10	6	6	35:31	36
ტელსტარი	23	11	3	9	40:40	36
ოსი	23	9	5	9	41:40	32
იგლსი	22	8	6	8	50:40	30
ვეენდამი	23	7	7	9	30:46	28
ჰაარლემი	23	7	4	12	29:42	25
აპელდორნი	23	5	8	10	34:34	23
კამბური	23	6	4	13	23:44	22
სიტარდი	22	3	8	11	28:50	17
დოორდრეხტი	22	2	10	10	20:34	16
მაასტრიხტი	23	3	6	14	22:56	15
ეინდჰოვენი	23	2	8	13	25:46	14

რკინის ქალი

ვირხინიამ ბლანკოს ჭურჭელი არეცხინა

მექსიკის ჩემპიონატში ერთი ფრიად საინტერესო და, როგორც შემდეგ გაირკვა, მომგებიანი ექსპერიმენტი ჩაატარეს — იქაურთა სიფიცხით განთქმული გუნდების, „ირაპუატო“ — „ამერიკას“ საპასუხისმგებლო მატჩში იმსაჯა... ვირხინია ტოვარმა, მტკიცე ხასიათის, ფხიზელი თვალის, უტეხი ნებისყოფის მქონე, მაგრამ მაინც ქალმა.

„როდესაც ქალი მსაჯობს, მატჩის მონაწილენი იძულებულნი არიან, მოედანზე უფრო კორექტულად მოიქცნენ. ეს კი მგონი საქმის უარყოფით მხარეზე არ მიგვანიშნებს“ — აღნიშნა ედუარდო ფუენტესმა, მასპინძელი „ირაპუატოს“ უკანახაზელმა. მეტოქის აზრს სავსებით იზიარებენ ამერიკელები — დუილიო დავინო და რაულ სალინასი, მიუხედავად იმისა, რომ ტოვარმა მათი გუნდი პენალტით დასაჯა. „ვირხინიას პენალტისთვის ვერ გავაკრიტიკებთ. იმ ვითარებაში მას სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო. საერთოდ, შეხვედრამ თითქმის უშეცდომოდ ჩაიარა, რაშიც ლომის წილი სწორედ სენიორა ტოვარს უტევს“ — აღიარებენ წაგებული კლუბის მოთამაშენი.

ირაპუატოს „რეკორდი“ „ამერიკას“ ჰოლანდიელი მწვრთნელის, ლეო ბეენჰაკერის მატჩისშემდგომი შთაბეჭდილებებით დაინტერესდა: „მე და ჩემს ფეხბურთელებს პრეტენზია არ გვაქვს. ვირხინიამ 22 მხეცთან ურთიერთობას ჩინებულად გაართვა თავი“ — ღიმილით უთხრა ჟურნალისტებს ჰოლანდიელმა დამრიგებელმა. სენიორა არბიტრმა თამაშის მსვლელობისას წითელი ბარათით დააჯილდოვა და როგორც მექსიკური მედია აღნიშნავს, „შინ ჭურჭლის სარეცხად“ გაუშვა მძინარე კვატემოკ ბლანკო, რომლის ფეთქებად ზნეზე ამ ცეცხლოვან ქვეყანაში ლეგენდები დადის.

ვირხინია ტოვარმა მოედანი თვით კვატემოკ ბლანკოს დაატოვებინა

მოკლედ, მანდილოსნის მსაჯობა მექსიკელმა თუ უცხოქვეყნელმა მაჩოებმა საკმაოდ დადებითად შეაფასეს. ამ მოვლენით მოხიბლულმა მავანმა ბულგარულმა სპორტულმა გამოცემამ სირცხვილის გრძნობა ერთი აღტაცებული შეძახილით ჩაანაცვლა: „ამ ქალს ყველა მამაკაც არბიტრზე უფრო რკინის.... ჰქონია“. მოგახსენებთ, რომ წერტილების ადგილას ორიგინალში არც „ხასიათი“ წერია, არც „ნერვები“.

ლადო ხომერიკი

გმირზე მეტი

ურუგვაი მასპოლის დასტირის

კვირას, 22 თებერვალს, 86 წლისა გულის შეტევით გარდაიცვალა ლეგენდარული მეკარე როკე გასტონ მასპოლი. „ეს ჩვენი საქვეყნო ტრაგედიაა — როკე მასპოლი აღარ გვყავს“ — ამცნობს დამწუხრებულ ოკეანისგაღმელებს მონტევიდეოს „ელ პაისის“ სამგლოვიარო თავფურცელი. მხცოვანი როკე ერთ-ერთი უკანასკნელი გახლდათ იმ დაუვიწყარი გუნდისა, 1950 წლის მუნდიალზე ძლევამოსილ ბრაზილიის ნაკრებს თითქმის განაღდებული ჩემპიონობა საკუთარ „მარაკანაზე“ თვალსა და ხელს შუა რომ ააცალა. აკი, წერს კიდეც ურუგვაული EL OBSERVADOR — „ჩვენი საფეხბურთო დიდების ისტორია ნელ-ნელა ძვირფას მოხუცებს კარგავს, ხალხს, რომელთა მოღვაწეობასაც ერთ, თუნდაც ტევად სიტყვას — გმირობას ვერ დავარქმევთ. მასპოლი და მისი მეგობრები ჭეშმარიტად უფრო მეტს წარმოადგენდნენ სამშობლოსთვის, ვიდრე უბრალოდ, გმირები...“

„მარაკანას რაინდმა“ თავისი კარიერა მონტევიდეოს „ნასიონალში“ 16 წლისამ დაიწყო და 1955 წელს „პენიაროლის“ შემადგენლობაში დაამთავრა. ხანგრძლივი კარიერის საქმიანობის განმავლობაში, ხსენებული ბრაზილიური მუნდიალის ოქროსმედალოსნობის გარდა, მასპოლის საფეხბურთო არქივში შვეიცარიის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე ადგილიცაა. ჰქონდა წარმატებული სამწვრთნელო კარიერაც — სხვადასხვა დროს წვრთნიდა „პენიაროლს“ (5-ჯერ ქვეყნის ჩემპიონობა, ერთხელ ლიბერტადორესის თასი და ერთხელ საკონტინენტთაშორისო თასი), „რივერ პლეიტს“, „ელჩეს“, პარაგვაის „ოლიმპიას“, პერუს „სპორტინგს“, ეკვადორის „ბარსელონასა“ და ურუგვაის ეროვნულ ნაკრებს.

1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი. ბრაზილია — ურუგვაი. როკე გასტონ მასპოლის საიმედო თამაშმა ურუგვაელებს საოცარი გამარჯვება არგუნა

როკე უამრავმა ხალხმა გულწრფელად დაიტირა, მთავარი კი მაინც ცოცხალი და ხელშეუხებელი დარჩება — 1950 წლის 16 ივლისი, 200 000 გამძვინვარებული ფანატი ბრაზილიელით გადაჭედილ „მარაკანას“ მინდორზე ერთი მუჭა ქომაგთა მიერ გამხნევებული „სელესტე“ 0:1 წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომისთვის ემზადება და 33 წლის მასპოლიმაც ალბათ ჯერ კიდევ არ იცის, თუ რაოდენი პატივის ღირსი გახდება — საფეხბურთო ფორტუნა ვეტერან გოლკიპერს დანარჩენ ამხანაგებთან ერთად სამარადჟამო უკვდავებას უძღვნის...

ლადო ხომერიკი

ფეხბურთის რუბასთან

ფრანგული „ოსერის“ კაპიტანმა ჟან-ალენ ბუმსონგმა მძიმე ტრავმა მიიღო. გასულ უქმეებზე „ბასტიასთან“ მატჩში 24 წლის მცველს ერთ-ერთ ეპიზოდში რამდენიმე ადგილას დაუზიანდა თავის ქალა. საბედნიეროდ, არც მის სიცოცხლეს და არც მხედველობას საფრთხე არ ემუქრება. **ბუმსონგი** ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს და რამდენიმე დღეში **პლასტიკურ** ოპერაციასაც გაუკეთებენ. იგი სულ ცოტა ორი თვით **დაისვენებს.** ექიმების თქმით, ევრო 2004-სთვის იგი სრულებით გამოჯანმრთელდება. ცნობილია ისიც, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ფრანგი „გლაზგო რეინჯერსში“ გადავა. მის ტრავმაზე კომენტარი „ჩაფრთა“ თავკაცმა ალექს მაკლიშმაც გააკეთა: ბუმსონგი უშიშარი და კარგი ფეხბურთელია, ხოლო მისი ტრავმა ტრანსფერს ხელს არ შეუშლისო. ამასთანავე, მაკლიში საფრანგეთში ჩასვლას და ბუმსონგის მონახულებასაც აპირებს.

იტალიური „ლაციოს“ თავკაცმა რობერტო მანჩინიმ კიდევ ერთხელ უარყო, რომ ახალი სეზონიდან „ინტერში“ არ გადავა: „ასეთი ჭორები პრესაში დიდი ხანია, ვრცელდება, მე აღარ ვაპირებ ამ თემაზე კომენტარის გაკეთებას. მინდა, წერტილი დავუსვა ამ უსაფუძვლო მითქმა-მოთქმებს. არაერთხელ განვაცხადე, არსად წასვლას არ ვაპირებ, ჟურნალ-გაზეთები კი თავისას მაინც არ იშლიან“.

კოლუმბიის ნაკრების კაპიტანმა ივან კორდობამ საჯაროდ განაცხადა, ჩემი მადრიდის „რეალში“ გადასვლა აფსურდია და მილანიდან ფეხის მოცვლას არ ვაპირებო. „ინტერიდან“ წასვლა არც კი გამიფიქრებია. მსურს, კლუბთან ერთად, რაც შეიძლება, მეტი ტიტული მოვიპოვო და მილანელ გულშემატკივარს თავი სამუდამოდ დავამახსოვრო. ახლა ჩვენ რთული პერიოდი გვიდგას და ყველას ვალია, გუნდი ამ ვითარებიდან გამოვიყვანოთ“ — თქვა კორდობამ.

გერმანული ბუნდესლიგის ლიდერმა ბრემენის „ვერდერმა“ ბრაზილიური „სან პაულუდან“ 26 წლის მცველი გუსტავო ნერი გადაიბირა. „ბრემენელი მუსიკოსები“ დიდი ხანია, ცდილობდნენ ნერის შეძენას და საბოლოოდ მიაღწიეს კიდეც მიზანს. ახალწვეული ზაფხულში შეუერთდება „ვერდერს“, რომელთანაც ოთხწლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა. „შენაძენით ძალიან კმაყოფილები ვართ. გუსტავო ნერი 1 ივნისს შემოგვიერთდება და გუნდის სრულუფლებიანი წევრიც მაშინ გახდება. ახლა მხოლოდ ტრანსფერის ოფიციალურად გაფორმებაა საჭირო“ — აღნიშნა ბრემენელთა სპორტულმა დირექტორმა კლაუს ალოფსმა.

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფრანგი გარემარბი მიკაელ სილვესტრი დაახლოებით სამი კვირა ვერ ითამაშებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „წითელ ეშმაკებს“ რამდენიმე პრემიერლიგური მატჩის გარდა, ჩემპიონთა ლიგის ორივე მერვედფინალური შეხვედრის უმისოდ ჩატარება მოუწევს. სილვესტრი შაბათს „ლიდსთან“ მატჩში, ალან სმიტთან შეჯახებისას დაშავდა.

ესპანური „ბარსელონას“ ყოფილმა კაპიტანმა სერხი ბარხუანმა თავის ამჟამინდელ კლუბ მადრიდის „ატლეტიკოსთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა. სერხი მადრიდელთა დაცვის ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა და მიმდინარე სეზონში პრიმერადივიზიონის ოცდახუთივე მატჩი აქვს ჩატარებული. მხარეებმა საბოლოო შეთანხმებას გასულ უქმეებზე, „ატლეტიკოსა“ და „დეპორტივოს“ შეხვედრის დასრულებისთანავე მიაღწიეს.

პორტუგალიელმა შემტევმა ნახევარმცველმა სიმაო საბროსამ ლისაბონის „ბენფიკასთან“ კონტრაქტი გააზანგრძლივა. შეგახსენებთ, რომ 24 წლის ფეხბურთელი კატალონიური „ბარსელონადან“ სამი წლის წინ დაბრუნდა სამშობლოში და ლისაბონური კლუბის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. ახლა სიმაო 2010 წლის 30 ივნისამდე „ბენფიკას“ საკუთრებაა.

იტალიური „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის მკაცრად მოსთხოვა, მუდამ ორი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშოს. „მილანი“ ბუნებით გამარჯვებულია, ხოლო ასეთი დონის გუნდს ერთი თავდამსხმელით თამაში არ ეკადრება. მილანური დერბის პირველ ტაიმში ფაქტობრივად არ ვჩანდით, ხოლო მეორე ნახევარში მოედანზე ორი ფორვარდით გავედით და ჩვენი რეალური შესაძლებლობაც ნათლად გამოჩნდა. შეტევითი პოტენციალის ფუჭად დაკარგვა არ შეიძლება. სასურველი იქნება თუ ანჩელოტი, რომელიც მომავალშიც „მილანის“ მწვრთნელად მოიაზრება, მუდამ 4-4-2 ტაქტიკით ითამაშებს, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე მის საქმიანობაში ვერევი“ — განაცხადა ბერლუსკონიმ იტალიური „რაიდუესთვის“ მიცემულ ინტერვიუში. კომენტარი გააკეთა „შავ-წითლების“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმაც, მან კვერი დაუკრა პრეზიდენტს და დასძინა, ჩემთვის იდეალური თავდასხმა შევჩენკო-ინძაგის დუეტია, მათ კი უკნიდან კაკა მიეხმარებაო.

არგენტინელი ფორვარდი კლაუდიო ლოპესი ახალი სეზონისთვის რომის „ლაციოს“ სავარაუდოდ დატოვებს და სხვა კლუბში გადავა. ამბობენ, რომ ლოპესი ისევ ესპანეთში დაბრუნდება, ოღონდ არა „ვალენსიაში“. „ლაციოს“ თავდამსხმელს ჯერჯერობით ერთი მსურველი უკვე ჰყავს, ეს მადრიდის „ატლეტიკოა“.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მოსკოვშია, დღეს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატ ანატოლი ბიშოვეცს შეხვდება და, სავარაუდოდ, კონტრაქტის ყველა დეტალს საბოლოოდ შეუთანხმებს.

იქამდე კი პრეზიდენტმა ფედერაციაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და თბილისიდან გამგზავრების წინ დაიბარა, სამსახურში დაბრუნებულს ყველა თანამშრომლის განცხადება გათავისუფლების თაობაზე მაგიდაზე დამხვდესო. პრეზიდენტის ბრძანება ვრცელდება გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიაზეც, რომელიც თბილისში წუხელ დაბრუნდა და ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძეზეც, თუმც კი აღმოჩნდა, რომ მათ ჟორდანიას დანაბარებზე არაფერი იცოდნენ. ყოველ შემთხვევაში, გუშინ ასე გვითხრეს...

სააკაშვილს ჯერ არ უთქვამს, ჟორდანია უკვე ასრულებს

რატომ მიიღო ფედერაციის პრეზიდენტმა ასეთი გადაწყვეტილება?

ამბობენ, კვიპროსის ტურნირზე საქართველოს ნაკრების უსუსური თამაშით ამერიკაში მიმავალი ქვეყნის პრეზიდენტი ისე აღშფოთებულა, აეროპორტში უთქვამს, ფედერაციაში სასწრაფოდ რეორგანიზაცია უნდა დაიწყოსო. ამ სიტყვებმა, რა თქმა უნდა, ჟორდანიამდეც მიაღწია და სარეორგანიზაციოდ პირველი ნაბიჯი თავად გადადგა.

ისიც ითქვა, გერმანიიდან ჩამოსულ ვალერი ჩოლარიას თანამდებობიდან გათავისუფლებას უპირებენო.

და კიდევ: ანატოლი ბიშოვეცის კანდიდატურა, თურმე, მთავრობამ დაიწუნა. მისი ან სხვა მწვრთნელის დანიშვნა კი მიხეილ სააკაშვილის ამერიკიდან დაბრუნებამდე არ მოხერხდებაო.

მოკლედ, *მერაბ ჟორდანიასთან* გუშინწინდელი საუბრის მერე კითხვები ისევ დაგვიგროვდა და მას უკვე მოსკოვში დავუკავშირდით.

— ფედერაციაში ბევრი რამ მოძველდა და გახლებას საჭიროებს. მით უმეტეს, ახლა, როცა საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი უნდა დაინიშნოს, ფედერაციაშიც აუცილებელია გარკვეული ცვლილებები. მოვითხოვე, რომ თითოეულმა თანამშრომელმა გათავისუფლების თაობაზე განცხადება დაწეროს და დამახვედროს. ჩამოვალ და მათ საკითხს ცალ-ცალკე განვიხილავ.

— ბევრს მოუწევს ფედერაციის დატოვება?

— უმეტესობა გააგრძელებს მუშაობას.

— სერიოზულ ცვლილებებს აპირებთ?

— დიახ, როგორც ვთქვი, ბევრი რამ დაგროვდა შესაცვლელი, თუმც რას ვაპირებთ, ახლა ნუ დამაკონკრეტებინებთ.

— საკმაო ხანია, ლაპარაკია, რომ თქვენს დიდი ხნის თანამებრძოლსა და თანამოაზრეს, გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასაც უპირებთ გათავისუფლებას...

— არა, ეს არაა სიმართლე.

— მართალია, რომ ნაკრების მწვრთნელად ანატოლი ბიშოვეცის კანდიდატურა მთავრობამ დაიწუნა?

— არ არის მართალი, ბიშოვეცი ისევ ყველაზე რეალური კანდიდატია.

— კულტურისა და სპორტის მინისტრ გიორგი გაბაშვილთან შეხვედრისას რაზე ისაუბრეთ?

— ზოგადად ქართული ფეხბურთის განვითარებაზე. პრეზიდენტი როცა ამერიკიდან დაბრუნდება, მუშაობა დაიწყება ქართული ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაზე. ჩვენ დიდი ხანია ამას ველით.

— ახალი მწვრთნელის დანიშვნა ქვეყნის პრეზიდენტს უნდა შეუთანხმოთ?

— მწვრთნელს ამ თვის ბოლომდე ჩვენ დავნიშნავთ და მისი ვინაობა პრეზიდენტმა უნდა იცოდეს.

— ბიშოვეცის გარდა კიდევ არის სხვა კანდიდატურები?

— კიდევ ორი კანდიდატურაა, თუმც მათ გვარებს ახლა ვერ გეტყვით.

— ბიშოვეცს უკვე შეხვდით?

— არა, მასთან საუბარი ხვალისთვისაა დაგეგმილი.

— „მილანის" სელექციონერმა რევაზ ჭოხონელიძემ შარშან და კახა კალაძემ წლეულს, „სარბიელთან" ინტერვიუებში ფედერაციას ნაკრების მწვრთნელად ჩეზარე მალდინი შესთავაზეს. ახლა, როცა ამ ბოლო დღეებში ბიშოვეცის დანიშვნა საეჭვო გახდა, მალდინის კანდიდატურა ჭკუაში ხომ არ დაგიჯდათ და იტალიაში გამგზავრებას ხომ არ აპირებთ?

— ეს ჯერ არ გადამიწყვეტია. წავალ თუ არა იტალიაში, ხვალ გეტყვით.

ბოჩა ინასარიძე

ჰერ ჰანსი ძალიან ნაწყენია

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ყველა ჯგუფის კალენდარი საბოლოოდ დადგინდა. ყველაზე ბოლოს ეს მეორე ჯგუფის ნაკრებთა წარმომადგენლებმა მოახერხეს. მოგეხსენებათ, ამ ჯგუფში საქართველოს ნაკრებიცაა. კალენდრის საბოლოო შედგენას კი თავი ფიფამ მოაბა. „სარბიელმა" უკვე გაგაცნოთ ალბანელთა გერმანელი მთავარი მწვრთნელის, ჰანს პეტერ ბრიგელის მოსაზრება, თუ ვისთან, სად და როდის ისურვებდა თამაშს. ახლა, კი, ფიფასეული კალენდრით, ყველაზე მეტად სწორედ ჩვენ არ გაგვიმართლაო, ჩივიან ალბანელები და ბრიგელი....

— ჰერ ჰანს, როგორ შეაფასებდით დამტკიცებულ კალენდარს?

— ყველაზე უარესი ვარიანტი ჩვენს ნაკრებს ერგო, ვიწყებთ საბერძნეთით, შემდეგ თქვენთან, თბილისში მოვემგზავრებით და, სულის მოთქმას ვერ ვასწრებთ, მესამე ტურში დანიელებს ვმასპინძლობთ. ბოლო ორი შეხვედრაც ნახეთ: უკრაინაში ჩავდივართ და შინ თურქეთით ვასრულებთ. ამაზე რთულს რას მოიგონებდნენ...

— თქვენს ხმაში პესიმიზმი იგრძნობა...

— განა შეიძლება, სხვაგვარად იყოს? ადრეც გითხარით, რომ ისეთი ნაკრებებისთვის, როგორნიც ალბანეთი და საქართველოა, დამატებითი მნიშვნელობა კალენდრის სასურველ შედგენასაც ენიჭება. თქვენ ჩვენთან შედარებით უფრო გაგიმართლათ. მიუხედავად ამისა, ყურებჩამოყრილები მაინც არ ვართ. ვიტოვებ იმის იმედს, რომ ჯგუფში ბევრი დაკარგავს დაუგეგმავ ქულებს, რაც ჩვენს მდგომარეობას საგრძნობლად გამოაკეთებს.

— სავსებით შესაძლოა, თქვენი გუნდი საქართველოში ნირწამხდარიც ჩამოვიდეს, მანამდე ხომ ბერძნებს მასპინძლობთ...

— ნურავინ იფიქრებს, რომ საბერძნეთის ნაკრებს ტირანაში იოლი გასეირნება ელის. პირიქით, შეიძლება ეს სწორედ ის შანსია, მათი დამარცხება რომ შეიძლება. ბერძნები ევროპის ჩემპიონატით დაღლილები იქნებიან. თანაც შეიძლება, ჩვენი დონის მეტოქე ჯეროვნად ვერ შეაფასონ და ამისთვის დაისაჯონ კიდეც. ამ შემთხვევაში კი პირიქით, ალბათ, თქვენს ნაკრებს გაუჭირდება სტიმულმიცემული ალბანელების დამარცხება.

დავით ერაძე

ორშაბათამდე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მხოლოდ მეორე ჯგუფი იყო უკალენდროდ. თურქთა ჭირვეულობის გამო უკრაინულ და შვეიცარიულ მოლაპარაკებებს ხასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია. ჟენევაში შვიდი ქვეყნის წარმომადგენელი საბოლოო შეთანხმების იმედად ჩავიდა. მაგრამ თურქებმა იქაც ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. ოსმალებმა ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერის სიტყვის შემდეგაც არ დათმეს პოზიციები და ბოლოს საქმე კენჭისყრამდე მივიდა — ფიფამ „ჟენევური რულეტკა" დაატრიალა და ტყვია საბერძნეთს მოხვდა

ბლატერმა საბერძნეთს წილი გაუშარა

გეხსომებათ, უკრაინულ მოლაპარაკებაზე ჩასულ ბერძნებს ერთადერთი მოთხოვნა ჰქონდათ — სექტემბერში ნუ გვათამაშებთ, ოლიმპიადა გვაქვსო. ჟენევური კენჭისყრის შემდეგ ისე გამოვიდა, რომ საბერძნეთს საოლიმპიადო დღეებში ერთბაშად ორი მატჩი ერგოთ — 4 აგვისტოს სტუმრად ალბანეთთან და ოთხი დღის შემდეგ შინ მოსისხლე თურქეთთან.

ერთი შეხედვით ალბანეთს გაუმართლა. ბრიგელის ნაკრები შინ იწყებს და შინვე ამთავრებს შესარჩევს. თანაც მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ პირველი თამაში ალბანელებს ევროჩემპიონატმოვლილ და, ლოგიკურად, გადაღლილ ბერძნებთან ექნებათ, მაგრამ დანარჩენი მატჩების განრიგის გადამკიდე ალბანელები აწუწუშდნენ, კალენდარი არ გვივარგა, საჩვენო არ არისო.

კიევურ კენჭისყრაზე გამგზავრების წინ სფფ-ის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას კალენდართან დაკავშირებით რამდენიმე პრინციპული მოსაზრება ჰქონდა. ჩოლარიას კატეგორიულად არ უნდოდა პირველ ტურში თურქეთთან სტუმრად თამაში და სურდა, ჩვენს ნაკრებს საშინაო მატჩით დაეწყო შესარჩევი. ამ მხრივ „ჟენევური რულეტკიდან" ერთი ტყვია ჩვენც გვერგო — შესარჩევს სწორედ თურქეთით ვიწყებთ.

თურქეთით დაწყება მართლაც არასახარბიელოა ჩვენთვის, რადგან შემოდგომაზე განსაკუთრებით ძლიერები არიან ოსმალონი და სტატისტიკიდან ჩანს, რომ მათ სადებიუტო საშინაო მატჩი წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული არ წაუგიათ. მიუხედავად ამისა, შვეიცარიაში საჩვენოდაც გაისროლა „ბერგერის მოდელმა", პირველი და ბოლო მატჩების გარდა (სტუმრად საბერძნეთთან) ჩვენს ნაკრებს ხელსაყრელი შუალედებით ერთობ მოსაწონი განრიგი აქვს. გამორჩევით კი 2005 წელს, როცა სამ პრინციპულ მეტოქეს (საბერძნეთი, თურქეთი, უკრაინა) შინ ვხვდებით და ამათ შორის შედარებით უმტკივნეულო გასვლები გვაქვს ყაზახეთთან და ალბანეთთან.

ორშაბათის კენჭისყრის შემდეგ, მეტოქეთა აზრით, საბერძნეთის შემდეგ ყველაზე ცუდი განრიგი უკრაინას შეხვდა. შვეიცარიაში კენჭისყრის პროცედურის დამთავრებისთანავე ცხელ გულზე ყველამ თქვა, რომ უკრაინისთვის წამგებიანია დანიით დაწყება და ბოლო ტურის გამოტოვება. გუშინწინ ამ აზრისანი იყვნენ თავად უკრაინელებიც, თუმც ცივი გონებით რომ ჩაუსხდნენ კალენდარს, სხვაგვარი დასკვნა გააკეთეს. აი, რა თქვა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა:

„კალენდარი დამაკმაყოფილებელია, მეტიც, ხელსაყრელიცაა ჩვენთვის. შესარჩევში დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი წლის თამაშებს. 2005-ში კი ჩვენნაირი განრიგი არავის აქვს. ევროპაში ერთი გუნდიც არ ამთავრებს შესარჩევს ორი საშინაო მატჩით, ამ მხრივ მარტო ჩვენ გაგვიმართლა".

უკრაინელმა ჟურნალისტებმა ისიც აღმოაჩინეს, რომ ერთობ ხელსაყრელ ვითარებაში მასპინძლობენ დანიელებს: 26 მარტს უკრაინა ისვენებს, დანიას კი თამაში აქვს ყაზახეთთან და ოთხი დღის შემდეგ ჩადის კიევში.

კმაყოფილი არიან ყაზახებიც. უეფას ბოლო წევრი პირველ ტურში კი ისვენებს, მაგრამ საშინაო მატჩით იწყებს და შინვე ამთავრებს... ისე, ყაზახეთისთვის რა მნიშვნელობა აქვს.

პაატა ქვანტალიანი

ჭირვეული მეორეჯგუფელები მაინც ბლატერმა მოარიგა

პროფლიგა ჯარიმას ახლებურად დაარტყამს

ცოცხალი ჯედელი უნდა დაინგრეს

საქართველოს პროფესიონალური ფეხბურთის ლიგა

დღეს საქართველოს საფეხბურთო პროფესიული ლიგა პირველ ყრილობას გამართავს — პროფლიგა აწი დამოუკიდებლად გაუძღვება ეროვნულ ჩემპიონატს და თასის გათამაშებას და პროფლიგის ხელმძღვანელობასაც რამდენიმე სიახლის განხორციელება დაუგეგმავს, რომელთა დამტკიცება-არდამტკიცება ყრილობის გადასაწყვეტია.

პროფლიგას სურს, შეიქმნას ახალი სადისციპლინო კომიტეტი, რომელიც ამ ორგანიზაციის სტრუქტურაში შევა და ოპერატიულად გამოუტანს ვერდიქტებს უდისციპლინოებს. სავარაუდოდ, ამ კომიტეტს ზვიად დარასელი უხელმძღვანელებს. პროფლიგამ კონკრეტული დანაშაულებებისთვის კონკრეტული საჯარიმო სანქციებიც დააწესა.

საჭიროა სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის რეორგანიზაცია — პროფლიგის აზრით, ეს კომიტეტი უნდა გაიყოს — ინსპექტორებს ახალშექმნილი საინსპექციო კომიტეტი დანიშნავს, რაც კლუბების მოთხოვნაცაა. მოკლედ, მატჩებზე მსაჯს და მსაჯის შემმოწმებელს ერთი და იგივე კომიტეტი აღარ დანიშნავს.

რამდენიმე კლუბის უკმაყოფილებას იწვევს ჩემპიონატის ახლანდელი სისტემა, რადგან მეორე ეტაპზე გუნდებს ქულები უნახევრდებათ. ყრილობა ამის გარდა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობას ათამდე შემცირებაზეც იმსჯელებს.

პროფლიგა კლუბებს დოპინგ-კონტროლის დაწესებსაც სთავაზობს და საამისოდ ალბათ შესაბამისი კომიტეტიც შეიქმნება.

ყრილობაზე პრესასთან ურთიერთობაზეც იმსჯელებენ. პროფლიგის ინიციატივით, კლუბები ვალდებულნი უნდა იყვნენ, რომ მათი ფეხბურთელები თუ სხვა წარმომადგენლები მატჩის შემდეგ დათანხმდნენ ინტერვიუზე.

მოკლედ, დღეს ყრილობას უმაღლესი ლიგის ყველა კლუბის წარმომადგენლები დაესწრებიან. პროფლიგის წევრი ჯერაც არ თბილისის „დინამო“, რომელიც ყრილობას სტუმრის სტატუსით შეხვდება, მაგრამ, როგორც პროფლიგაში გვითხრეს, მათდამი „დინამოს“ ყველა შენიშვნა გათვალისწინებულია და იმედიც აქვთ, რომ „დინამო“ პროფლიგაში გაწევრიანდება.

დავით თავართქილაძე

პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს დღეს ბევრი საქმე აქვს

ფოტო ირაკლი ბერიძისა

— **„ტორპედოდან“ შენი მოულოდნელი წასვლა რას მივაწეროთ?**

— რა ვიცი, უკვე ასაკში ვარ, ჯანი ძველებურად აღარ მომდევს... ყველაფერი ერთმანეთს მიეწყო. თან ტრავმა მქონდა, კუნთი გამიწყდა და პირველი ეტაპის ბოლო ტურები არ მითამაშია.

— **ესე იგი, გუნდი შენი სურვილით დატოვე?**

— ასე გამოდის, მაგრამ... რა ვიცი... ვერც ვვარჯიშობდი, ახლა უკეთ კი ვარ, მაგრამ მაინც წამოსვლა ვარჩიე.

— **„ტორპედოში“ მრავალი წელი გაგიტარებია. ასე ჩუმად წასვლას ალბათ არ იმსახურებდი...**

—ხმაური არასოდეს მყვარებია. ყოველთვის წყნარი ვიყავი და ახლაც ასე მოხდა. თუმცა ყველაფერი ჩემი გადასაწყვეტი ხომ არ იყო. ყოველ შემთხვევაში, ხელმძღვანელობაზე ნაწყენი მაინც არ ვარ. ალბათ ასე იყო საჭირო...

— **იქნებ სჯობდა, სამიოდ თვეც მოგეცადა და სეზონის ბოლოს წასულიყავი?**

— შეიძლებოდა, მაგრამ... უკვე გადავწყვიტე და მაგაზე ფიქრს ახლა რა აზრი აქვს. წავედი და მორჩა.

— **კარიერის დასრულებაზე ხომ არ ფიქრობ?**

— არა, ცოტა ხანს კიდევ ვითამაშებ. გაჩნია, ჯანმრთელობა როგორ შემიწყობს ხელს...

— **როგორც ვიცი, ყაზახური ვარიანტი გქონდა...**

— ყარაგანდის „შახტიორიდან“ იყო შემოთავაზება, მაგრამ რეალურს ვერ დავარქმევ. რაღაც-რაღაცეები ახლაც არის. ყაზახეთი, კიპროსი...

— **როდის გაირკვევა ეგ ამბავი?**

— ორ-სამ დღეში დამირეკავენ. ამ დილითაც ველაპარაკე ერთ კაცს, რომელიც ჩემს ტრანსფერზე მუშაობს და მითხრა, მალე ყველაფერი მოგვარდებაო.

— **საქართველოში დარჩენას გამორიცხავ?**

— საქართველოში დარჩენა არ მინდა. დავბერდი უკვე და რაღა დროს ჩემი ამბიციებია. ერთ-ორ წელს უცხოეთში წავითამაშებ და ეგ იქნება.

— **ეროვნულ ჩემპიონატში 12 სეზონი გითამაშია. რომელი იყო შენთვის საუკეთესო?**

— ცხონებული დავით ყიფიანის მწვრთნელობის დროს, პირველად რომ გავხდით საქართველოს ჩემპიონები. მაშინ ძალიან წარმატებული სეზონი გვქონდა. თან კარგი გუნდი გვყავდა და ალალად გავიმარჯვეთ.

— **თუმცა ცოტა ხანში „ტორპედო“ დატოვე და ფოთის „კოლხეთში“ გადახვედი. რატომ?**

— მერე რევაზ ძოძუაშვილი მოვიდა გუნდში და... რა ვიცი, უთანხმოებასაც ვერ დავარქმევ, მაგრამ რაღაც გაუგებრობა იყო ჩვენს შორის და „კოლხეთში“ გადავედი. გამიჭირდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა.

— **და ერთ სეზონში დაბრუნდი...**

— ჰო, მაგ დროს „ტორპედოს“ ალექსანდრ შტელინი წვრთნიდა. მისი და შედან ნანიკაშვილის სურვილით დავბრუნდი ქუთაისში.

— **უცხოეთში წასვლას დავუბრუნდეთ. ადრე არ გქონია ამის შანსი?**

— კი, მაგრამ... ბელგიური კლუბი იყო. თუ გახსოვს, ინტერტოტოს თასზე „ლომელს“ ვეთამაშეთ და საპასუხო მატჩის შემდეგ მსაჯმა ბუტენკომ მითხრა, ბელგიაში შენზე ლაპარაკობენო. მერე ეს საუბრები სხვისგანაც გავიგე, მაგრამ საქმე წინ არ წასულა. პატრონიც არ მყავდა, სად წავიდოდი...

— **„ტორპედოში“ ტოვებ შემცვლელს?**

— არა მგონია, გუნდს ეს გაუჭირდეს. „ტორპედოში“ გამოცდილებიც არიან და ახალგაზრდებიც. ნიკა ნადირაძე აიღეთ, ძალიან ნიჭიერი ბავშვია. მართალია, ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი, მაგრამ თუ მოინდომებს, მიზანს მიაღწევს. მე მივდივარ და ამიერიდან სხვების ჯერია.

კახა შალამბერიძე

ცხრანახევარი სეზონი ემსახურა ჯახა ჯვეტენაძე ქუთაისის „ტორპედოს“. 33 წლის ფუტჯარივით მუშა ნახევარმცველმა 2004 წლის დამდეგს დაიხურა ქუდი და... ყველაფერი ისე ჩუმად და უხმაუროდ მოხდა, როგორიც თავად ჯვეტენაძეა. მუხლჩაუხრელად მშრომელი „ჯვეტე“ „ტორპედოს“ გაეყარა და ახალი ბუნდის ძიებაშია ერთგულ ჩემპიონატს ჯიდევ ერთი გამოცდილი და შრომისმოყვარე ჯაცი მოაკლდა...

ერთი მუშაკაცის უხმაურო ამბავი

კვეტენაძე ისე წავიდა, როგორიც არის

ხიზანეიშვილის ჰამბურგული ოთხმოცდაათი

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ოთარ ხიზანეიშვილისა და მოსკოვის „დინამოს“ კავშირს ბევრი აღარ უკლია. ტრავმებითა და თვალის პრობლემით გატანჯულმა მცველმა, როგორც იქნა, სული მოითქვა და ახლა გაორმაგებული ენერგიით ცდილობს მოსკოველთა ძირითადში დამკვიდრებას. მისი და „დინამოს“ გზები უკვე მესამედ გადაიკვეთა, თუმცა ამჯერად ყველაფერი ლოგიკური დასასრულისკენ მიდის. აკი ბოლოდროინდელ ინტერვიუებში ოთარი ამბობდა, გუბიკი გაცილებით მეტ ნდობას მიცხადებს, როგორც ჩანს, ჩვენს შორის არსებული გაუგებრობა წარსულს ჩაბარდაო.

გუშინ გერმანულ შეკრებაზე დინამოელებმა მორიგი საკონტროლო მატჩი გამართეს ბუნდესლიგის „ჰამბურგთან“, რომელიც მოედანზე ძირითადის ორი მოთამაშით და სათადარიგოებით გამოვიდა. ხიზანეიშვილმა მოედანზე 90 წუთი დაჰყო, შეხვედრა კი 0:0 დასრულდა. მატჩის შემდეგ ოთარს რომ შევეხმიანეთ, მისგან გაცილებით ოპტიმისტური კომენტარი მოვისმინეთ.

— მცველები გუნდში საკმაოდ ვართ, მაგრამ გუბიკი მუდამ მე მაყენებს ძირითადში. მისგან ასეთი ნდობა რომ ვიგრძენი, უფრო თავდაჯერებულად და გაბედულად ავთამაშდი. საუკეთესო ფორმაში არც ახლა ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ უთამაშებლობით გაცდენილსაც ვინაზღაურებ და ფორმასაც ვიბრუნებ.

— **„ჰამბურგთან“ მატჩი დინამოელთა დაცვისთვის მძიმე იყო?**

— მთელი მატჩი უპირატესობა ჩვენი იყო. ცენტრალურ მცველად დავიწყე თამაში, გერმანელთა შეტევები უფრო მარჯვნიდან მოდიოდა და მეც იქით გადამწიეს.

— **შეიძლება, უკვე დინამოელადაც ჩაგთვალოთ?**

— არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, თუმც ყველაფერი ამისკენ მიდის. 26 თებერვალს მოსკოვში ვბრუნდებით და იქ გადაწყდება ყველაფერი.

დავით ერაძე

ტრანსფერები

სამწლიანი ყიფიანი ათიანს შმიზნებს

გიორგი ყიფიანმა სიტყვა შეასრულა. ორიოდ დღის წინ გვითხრა, „სკონტოსთან“ კონტრაქტს მწვრთნელ ალექსანდრ სტარკოვსის რიგაში დაბრუნებისთანავე გავაფორმებო და...

— დღეს მოვაწერე ხელი სამწლიან კონტრაქტს. ადრეც გითხარი, რომ პირობებზე უკვე შეთანხმებული ვიყავი და ფორმალობა დიდხანს არ გაგრძელებულა. კონტრაქტის გაფორმებას სტარკოვსი და ჩემი მენეჯერი დაესწრნენ. ახლა უკვე ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული — გვითხრა გუშინ გიორგიმ.

ამგვარად, ყიფიანი მესამე სკონტოელია ლევან კორღალიძისა და ზურაბ მენთეშაშვილის შემდეგ. სამი ქართველი ამ კლუბს ალექსანდრე რეხვიაშვილის მოსკოვურ „ტორპედო-მეტალურგში“ გადასვლის მერე არ ჰყოლია.

მართალია, კორღალიძეს „სკონტოდან“ წასვლა გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ გუშინდელი საუბრისას გვითხრა, ამ სეზონსაც აქ ჩავამთავრებ. სამწუხაროდ, რეალური ვარიანტი არ გამოჩენილა და აწი დალოდებასაც აზრი არა აქვსო.

ფაქტობრივად, გადაწყვეტილია ზურაბ მენთეშაშვილის საკითხიც. ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ვერდამკვიდრებული ქართველი ნახევარმცველი უახლოეს დღეებში ფორმალობებს მოაგვარებს და ამ სეზონსაც „სკონტოში“ გაატარებს, თუმც მის სათამაშო ნომერს შეცვლა „ემუქრება“.

— კლუბის ახალი ეკიპირება უახლოეს დღეებში ჩამოვა და ნომერსაც მერე ავირჩევ. თუმცა, რა არჩევა მაგას უნდა, ყველამ იცის, რომ ათიანი ჩემი რიცხვია. „სკონტოში“ ეს ნომერი მენთეშაშვილს ეკუთვნის და ახლა მისი გადმობირება მომიწევს. ამ საკითხზე „მუშაობა“ უკვე დავიწყე — გვითხრა გიორგი ყიფიანმა.

კახა შალამბერიძე

პრუნია ხედავს

რუმინულ ფეხბურთს ფეხბურთელები დაღუპავენ, ქართულს — მწვრთნელები

ანთალიის ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „პორტო ბელოს“ უზარმაზარ ფოიეში თურქულ შეკრებაზე მყოფი უამრავი ფეხბურთელი მიმოდის. რა ქვეყანა და რა კლუბი არ გინდა...ერთ მათგანს მყუდრო ადგილი შეურჩევია, განმარტოვებულა, მობილურ ტელეფონს ჩასჩერებია, ხან თავად რეკავს, ხან ზარებს პასუხობს.

ეს ხომ ფლორიან პრუნია — რუმინელი „ამერის“ მეკარეთა მწვრთნელმა ლევან აბაშიძემ იცნო. უმალ გავიხსენეთ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დრამატული მეოთხედფინალური მატჩი. პრუნიას საბედისწერო შეცდომა და ნაადრევად შინ გაბრუნებული რუმინეთის მართლაც ჩინებული გუნდი...

მსგავს შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი. ინგლისურის მცოდნე ამერელი ბიჭები ფარნა კუსრაშვილი, ჯაბა ბერიანიძე, რევაზ თევდორაძე და ირაკლი ფირანიშვილი ვიახლე და პრუნია „ალყაში“ მოვიქციეთ. ამ მოულოდნელმა „ჯგუფურმა ინტერვიუმ“, ცოტა არ იყოს, დააბნია ვეტერანი რუმინელი მეკარე, თუმც მალევე გაგვიშინაურდა, ინტერვიუს ბოლოს ავტოგრაფიც მოგვცა და, ჩემი ქართველი მეგობრები მომიკითხეთო, გვთხოვა...

— თქვენი თამაში ყველაზე უკეთ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან გვახსოვს. თვლით, რომ მაშინ საუკეთესო ფორმაში იყავით?

— დიახ. 1994 წელი ჩემთვის საუკეთესო იყო. რუმინეთის ნაკრებმაც დიდ წარმატებას მიაღწია და მეც კარგად ვიდექი.

— კი მაგრამ, იმ ჩემპიონატზე, შვედთან მეოთხედფინალურ მატჩში სწორედ თქვენი უხეში შეცდომით ისარგებლა კენეტ ანდერსონმა...

— ეგ უკვე წარსულია. მაგაზე დიდხანს არც მინერვიულია. ვინც თამაშობს, ერთი-ორ შეცდომას ყველა უშვებს. უბრალოდ, მეკარის შეცდომა უფრო ყვირის.

— მაშინ მეოთხედფინალი ვერ დაძლიეთ. შეეძლო რუმინეთის ნაკრებს მეტის მიღწევა?

— არა. ეს ჩვენი საუკეთესო შედეგი იყო. მეტი ნამდვილად არ შეგვეძლო. ასეთია რეალობა.

— იმ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველ მეკარედ არ წასულხართ...

— საერთოდ, ასეთ დიდ ტურნირებზე მეკარე პირველ შეცდომამდე თამაშობს. ჩემმა კონკურენტმა ბოგდან სტელიამ ორი მატჩი ჩაატარა და მერე ჩემი ჯერი დადგა. ალბათ იგივე მოხდებოდა, შვედეთი რომ გაგვეგდო — ნახევარფინალში სტელია ითამაშებდა...

— ესე იგი, იმ შეცდომას მაინც ნანობთ...

— ფსიქოლოგიურ დაღად დამრჩა, მაგრამ თანაგუნდელები და მწვრთნელები დამეხმარნენ და მალე ყველაფერი დავივიწყე.

— თქვენი აზრით, როდის იყო რუმინეთის ნაკრები ყველაზე ძლიერი?

— 1994 წელს. ეს იყო ახალგაზრდების და გამოცდილების იდეალური ნაზავი. რამდენიმე მართლაც ძლიერი ფეხბურთელი გვყავდა, მაგრამ სხვა გუნდებიც ძალიან კარგები იყვნენ და მეოთხედფინალს ამიტომ დავჯერდით.

— ჰაჯი, პოპესკუ, ლეკეტუში, მუნტიანუ... კიდევ როდის ეყოლება რუმინეთს ასეთი თაობა?

— რუმინეთში ახლაც ბევრია ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი, მაგრამ ერთი დიდი პრობლემაა: ამ ბიჭებს რატომღაც სხვანაირი მენტალიტეტი აქვთ, ყველაფერი ერთად უნდათ — გართობა, დროსტარება, ფეხბურთი... ამათი შეთავსება შეუძლებელია. ვარჯიშის შემდეგ ეგრევე ღამის ბარებში მიდიან, ლუდით იჭყიპებიან, ქალებთან ერთობიან და მეორე დღეს გამოუძინებელნი თამაშზე და ვარჯიშზე მიდიან. აბა, ასე დიდ ფეხბურთს როგორ ითამაშებ?! ჩვენი თაობა უფრო პროფესიონალი იყო. აი, ეს ღუპავს რუმინულ ფეხბურთს.

— 1994 წელი საუკეთესო და იღბლიანი იყო ჩემთვისო თქვით, მაგრამ მაშინ „მილანის“ ვარიანტი ჩაგეშალათ...

— „მილანში“ გადასვლა მართლა რეალური იყო. თუმცა იქ სხვა პრობლემა გაჩნდა: მე არიგო საკი მიწვევდა, რომელიც ფაბიო კაპელომ შეცვალა. „მილანში“ მაინც მივედი, ვივარჯიშე და კაპელომ უკან გამომიშვა. ასე რომ, ამ ამბიდან მილანელოში გატარებული რამდენიმე დღე შემრჩა.

— როგორი მეკარე იყო ფლორიან პრუნია საუკეთესო წლებში?

— ჯანი მქონდა, ფიზიკურად ძლიერი ვიყავი, კარგი რეაქციაც მქონდა... ეგ იყო, გამოცდილება მაკლდა და ანდერსონმაც ამით ისარგებლა მაშინ.

— თანამედროვე მეკარის თქვენეული კრიტერიუმები...

— დღეს ფეხბურთში ძალიან დიდი მოთხოვნებია. მეკარეს ბევრი რამ ევალება. აუცილებელი გახდა ლიბეროს თვისებები, ორივე ფეხით თამაში, ათლეტიზმი, სისხარტე. რეაქციაზე არაფერს ვამბობ...

— ახლა ვინ არის მსოფლიოში საუკეთესო მეკარე?

— კასილიასი, ლობონტი, კუპე... ისინი ძალიან ძლიერები არიან არა მარტო რეაქციით და კლასით, არამედ აზროვნებითაც. მეკარისთვის მომენტის წინასწარ გათვლის უნარი ძალიან დიდი პლუსია.

— კი მაგრამ, ბუფონი, ტოლდო, კანი... ამათგან ერთიც არ გიხსენებიათ...

— თქვენ გინდათ, რომ გემოვნებაზე ვიდავოთ? მე არ ვაპირებ...

— კეთილი. ახლა 36 წლის ხართ. ალბათ, კარიერის დასრულებაზეც იფიქრებდით. მერე რას გააკეთებთ?

— ცოტა ხანს კიდევ ვითამაშებ. მერე ორი წელი დავისვენებ, ძალებს აღვიდგენ და ფეხბურთში აუცილებლად დავბრუნდები, ოღონდ სამენეჯერო საქმიანობა მიზიდავს და ვფიქრობ, ამას მოვკიდებ ხელს.

— თქვენს ამჟამინდელ კლუბ „ბაკეუზე“ რას იტყვით?

— რუმინეთის ჩემპიონატში საშუალო დონის კლუბად ითვლება. ფინანსურად არ გვიჭირს, ანაზღაურებაც ნორმალურია. თან კლუბის პრეზიდენტი ჩემი მეგობარია და შეძლებისდაგვარად ვეხმარები.

— საქართველოს ნაკრების წინაღმდეგ პირველად 1996 წლის 24 აპრილს ითამაშეთ ამხანაგურ მატჩში. მაშინდელი 0:5 ჩვენთვის დღემდე ავადმოსაგონარია. თქვენ როგორ გაიხსენებთ იმ მატჩს?

— თქვენს გუნდს ტექნიკური და ფიზიკური წუნი ნაღდად არ ჰქონდა. არც შემსრულებლების ნაკლებობა იგრძნობოდა. ქეცბაია და დევაძე სულაც ჩემი მეგობრები არიან და მათი დონე კარგად ვიცი. მაგრამ აშკარად ჩანდა პრობლემები თამაშის ორგანიზაციასა და ტაქტიკაში. ნუ მიწყენენ ქართველი მწვრთნელები, მაგრამ ვფიქრობ, თქვენი ფეხბურთის ჩამორჩენა სწორედ არაკვალიფიციური მწვრთნელების ბრალია. სხვა ნაკლს ვერ ვხედავ.

— ქეცბაია და დევაძე ჩემი მეგობრები არიანო, თქვით. საიდან დაუახლოვდით ერთმანეთს?

— ქეცბაიას კვიპროსიდან ვიცნობ. იქ ხშირად მიწევდა ჩასვლა, თემურიც ერთი-ორჯერ მომესალმა, ერთმანეთი მოვიკითხეთ და მერე დავახლოვდით. დღემდე ჩემს კარგ მეგობრად ვთვლი. ქართველებს მისი დარი ფეხბურთელი, ალბათ, ბევრი არც გყავთ. დევაძესთან ერთად კი სამი დღე ვვარჯიშობდი და მაშინ გავიცანი. კვიპროსის ტურნირის შემდეგ მას დარჩენა მოუხდა. რეისი რამდენიმე დღეში იყო და ელოდებოდა. ერთ დღესაც სასტუმროში ეწახე და ვთხოვა, თუ შეიძლება, კლუბში დაბრუნებამდე თქვენს გუნდში ვივარჯიშებო. მეც მწვრთნელს ყველაფერი ავუხსენი, მითხრა, პრობლემა არ არისო და დევაძემაც სამი დღე ჩვენთან გაატარა. მაშინ დავრწმუნდი მის სიძლიერეში. ასეთი რეაქციის მქონე მეკარე დღესაც იშვიათია. გეცოდინებათ, კიდევ თამაშობს?

— ორი წლის წინ შეეშვა ფეხბურთს, მაგრამ ახლა ისევ დაბრუნდა და საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს...

— საწყენია, რომ დევაძემ დიდი ფეხბურთი რატომღაც ვერ ითამაშა. თუ ნახავთ, გთხოვთ, აუცილებლად მოიკითხეთ ჩემგან.

მამუკა კვანტალიანი

ფკ „ამერის“ ადმინისტრატორი ანთალია-თბილისი

ბაბილ ჯეფლაბის ფოტო

ჯაკობიამ ბერძნულად თვლა დაიწყო

პროფესორი მოყვარულებს ამეცადინებს

პირველი ბერძნული გოლი გაიტანა ლაშა ჯაკობიამ. საბერძნეთის მეორე ლიგის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ქართულ“ „იანინას“ ერთ-ერთი ლიდერი, სალონიკის „კერკურა“ ჰყავდა მეტოქედ. მატჩი სალონიკში გაიმართა და „იანინას“ სამივე ქართველმა შეუცვლელად ითამაშა.

ვახტანგ ხვადაგიანს და მიხეილ ხუციშვილს თავი დიდად არ გამოუჩენიათ, ჯაკობიამ კი, რომელსაც იანინელები ძალიან ემადლიერებიან, მთელი მატჩი არ მოასვენა მეტოქე მცველები და მეორე ტაიმში გარჯა დაუფასდა. იქამდე კი „იანინამ“ და „კერკურამ“ გოლები გაცვალეს. მერე სალონიკელებმა მეორეც შეაგდეს და ტაიმი 2:1 მოიგეს, თუმც მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, ჯაკობიას ჯერი რომ დადგა — ჩვენებურმა ანგარიში გაათანაბრა და მატჩიც ახლოს იყო ფრესთან დამთავრებასთან, მაგრამ ზედ საფინალო სასტვენის წინ სალონიკელებმა გადაწყვეტი, მესამე გოლი გაიტანეს და სატურნირო ცხრილშიც გაპირველდნენ. „იანინა“ კი 26 ქულით მეთორმეტეა.

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ „იანინას“ ზოოვეტერინალური უნივერსიტეტის რექტორი ელგუჯა გუგუშვილი წვრთნიდა. გუგუშვილი ორი კვირის წინ დაბრუნდა საბერძნეთიდან და გვითხრა, გუნდის მწვრთნელ-კონსულტანტად დავრჩებიო, თუმც, როგორც ჩანს, პროფესორ გუგუშვილს „იანინასთვის“ დრო აღარც დარჩება, რადგან 5 მარტს სფფ-ის აღმასკომზე საქართველოს მოყვარულთა ნაკრების მწვრთნელად დაამტკიცებენ. ჩვენს მოყვარულებს ოქტომბერში ევროპის ჩემპიონატი ელიო.

ერთი კი ცხადია, გუგუშვილი საბერძნეთში ნაღდად დაბრუნდება, რაკიღა მოყვარულთა ევროპის ჩემპიონატი სწორედ იქ ჩატარდება.

პაპტა კვანტალიანი

სარბიელი და კროკი
წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა. XXVII ტური						
		28 თებერვალი						
19.00	009	არსენალი-ჩარლტონი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	010	არსენალი-ჩარლტონი 0:1	1,75	3,2	3,0			
19.00	011	ბლექბერნი-საუთჰემპტონი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
19.00	012	ევერტონი-ასტონ ვილა	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
19.00	013	ფულემი-მანჩესტერი	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
19.00	014	ლესტერი-ვულვერჰემპტონი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
19.00	015	სიტი-ჩელსი	4,0	3,2	1,8	1,77	1,24	1,15
		29 თებერვალი						
16.00	016	ლიდსი-ლივერპული	3,2	3,2	2,15	1,6	1,28	1,28
19.00	017	პორტსმუთი-ნიუკასლი	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
		ინგლისი						
		I დივიზიონი. XXIV ტური						
		25 თებერვალი						
23.45	055	ნოტინგემი-ჯილინგემი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
		ინგლისი						
		II დივიზიონი. XXIX ტური						
		24 თებერვალი						
23.45	075	ბორნმუთი-რექსემი	2,2	3,1	3,1	1,28	1,28	1,55
		გერმანია						
		ბუნდესლიგა. XXII ტური						
		28 თებერვალი						
18.30	018	შტუტგარტი-შალკე	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
18.30	019	ბოხუმი-ჰანზა	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
18.30	020	კიოლნი-მიუნხენი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
18.30	021	ჰამბურგი-ლევერკუზენი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
18.30	022	აინტრახტი-მიონხენგლადბახი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
18.30	023	ვერდერი-დორტმუნდი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
18.30	024	ბაიერნი-ვოლფსბურგი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	025	ბაიერნი-ვოლფსბურგი 0:1	1,75	3,2	3,0			
		29 თებერვალი						
20.30	026	ჰანოვერი-ჰერტა	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
20.30	027	ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		გერმანია.						
		II ბუნდესლიგა. XXII ტური						
		27 თებერვალი						
22.00	157	კარლსრუე-არმინია	2,05	3,2	3,3	1,24	1,26	1,62
22.00	158	ნიურნბერგი-აუე	1,45	3,8	6,5	1,04	1,18	2,39
22.00	159	ალემანია-ფიურტი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
		29 თებერვალი						
18.00	160	ალენი-ბურგჰაუზენი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
18.00	161	ოსნაბრიუკი-კოტბუსი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35
18.00	162	ობერჰაუზენი-მაინცი	2,0	3,1	3,5	1,21	1,27	1,64
18.00	163	უნიონი-დუისბურგი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
18.00	164	რეგენსბურგი-უნტერჰახინგი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
		1 მარტი						
23.15	165	ტრირი-ლიუბეკი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
		იტალია. სერია A. XXIII ტური						
		28 თებერვალი						
21.00	028	სიენა-რეჯინა	2,0	3,0	3,8	1,2	1,31	1,67
23.30	029	ემპოლი-უდინეზე	2,7	3,0	2,5	1,42	1,29	1,36
		29 თებერვალი						
18.00	030	ლეჩე-მოდენა	1,95	3,0	4,0	1,18	1,31	1,71
18.00	031	პარმა-რომა	3,5	3,0	2,1	1,61	1,31	1,23
18.00	032	იუვენტუსი-ანკონა	1,05	7,5	20,0	1	1	5,45
	033	იუვენტუსი-ანკონა 0:1	1,25	4,0	5,3			
18.00	034	პერუჯა-ბოლონია	2,6	2,8	2,8	1,34	1,34	1,4
18.00	035	ინტერი-ბრეშა	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	036	ინტერი-ბრეშა 0:1	2,05	3,2	2,45			
18.00	037	სამპდორია-კიევო	2,0	3,0	3,8	1,2	1,31	1,67
23.30	038	ლაციო-მილანი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
		ესპანეთი. I დივიზიონი. XXVI ტური						
		28 თებერვალი						
22.30	039	მალიორკა-ატლეტიკო	2,3	3,1	3,0	1,32	1,3	1,52
00.30	040	ბეტისი-სევილია	2,2	3,0	3,3	1,26	1,32	1,57
		29 თებერვალი						
20.00	041	სოსიედადი-ალბასეტე	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	042	მურსია-ოსასუნა	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
20.00	043	მალაგა-რასინგი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
20.00	044	ვალიადოლიდი-სარაგოსა	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
20.00	045	ვილიარეალი-ბილბაო	2,25	3,0	3,2	1,28	1,32	1,54
20.00	046	ესპანიოლი-ვალენსია	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
22.00	047	რეალი-სელტა	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
	048	რეალი-სელტა 0:1	2,0	3,2	2,5			
24.00	049	დეპორტივო-ბარსელონა	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
		საფრანგეთი. I დივიზიონი. XXVI ტური						
		28 თებერვალი						
20.15	222	ნანტი-სტრასბური	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
23.00	223	გენგამი-მეცი	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
23.00	224	ლე მანი-რენი	2,4	3,1	2,8	1,35	1,29	1,47
23.00	225	ლანსი-ლიონი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
23.00	226	მონპელიე-ლილი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
23.00	227	ტულუზი-მონაკო	4,2	3,2	1,8	1,81	1,26	1,15
		29 თებერვალი						
21.00	228	აიაჩო-ბორდო	2,5	3,1	2,6	1,38	1,27	1,41
21.00	229	ნიცა-მარსელი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
21.00	230	სოშო-ბასტია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
24.00	231	ოსერი-პსჟ	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
		პორტუგალია. II ლიგა. XXIII ტური						
		25 თებერვალი						
18.00	259	კოვილია-ფეირენსე	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		25 თებერვალი						
23.00	272	ბრედა-გრონინგენი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
23.00	273	ჰერენვენი-აიაქსი	4,2	3,4	1,75	1,87	1,23	1,15
23.00	274	დენ ჰააგი-როდა	2,8	3,3	2,3	1,51	1,26	1,35
		სლოვაკეთი. I ლიგა. XVII ტური						
		25 თებერვალი						
19.00	382	ტრენჩინი-პეტრჟალკა	2,25	3,1	2,9	1,3	1,26	1,49
		მექსიკა. კლაუსურა. VII ტური						
		25 თებერვალი						
01.00	450	ატლანტე-ვერაკრუსი	1,75	3,2	4,0	1,13	1,21	1,77
01.00	451	ხაგუარესი-კრუს ასული	1,75	3,2	4,0	1,13	1,21	1,77
01.00	452	ტოლუკა-ირაპუატო	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
02.00	453	სანტოსი-ტეკოსი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
06.00	454	პაჩუკა-პუმასი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
06.30	455	სან ლუისი-მონტერეი	1,95	3,2	3,4	1,21	1,23	1,64
06.45	456	კერეტარო-ნეკახა	2,4	3,1	2,6	1,35	1,24	1,41
06.45	457	ტიგრესი-ჩივასი	2,45	3,1	2,5	1,36	1,23	1,38

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		26 თებერვალი						
06.45	458	ატლასი-ამერიკა	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
06.45	459	მორელია-პუებლა	1,9	3,3	3,4	[illegible]	1,21	[illegible]
		ინგლისი. თასი. V ეტაპი						
		25 თებერვალი						
23.45	477	ბირმინგემი-სანდერლენდი	1.6	3,4	5.3	1.08	1.22	2.07
		ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები						
		25 თებერვალი						
23.45	005	დეპორტივო-იუვენტუსი	2,35	3,0	3,0	1,31	1,31	1,5
23.45	006	პორტუ-მანჩესტერი	2,8	3,1	2,4	1,47	1,29	1,35
23.45	007	სოსიედადი-ლიონი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
23.45	008	შტუტგარტი-ჩელსი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
		უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები						
		26 თებერვალი						
20.00	481	სპარტაკი-მალიორკა	2,35	3,1	2,8	1,33	1,27	1,47
20.00	482	ვოლერენგა-ნიუკასლი	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
21.00	483	გროცლინი-ბორდო	2,5	3,1	2,6	1,38	1,27	1,41
21.00	484	გაზიანთეფი-რომა	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23
22.00	485	მარსელი-დნიპრო	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
22.30	486	პარმა-გენჩლერბირლიგი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
22.30	487	პერუჯა-პსვ	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
22.30	488	გალათასარაი-ვილიარეალი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
23.00	489	ოსერი-პანათინაიკოსი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
23.30	490	ბრიონდბიუ-ბარსელონა	3,6	3,2	1,95	1,69	1,26	1,21
23.30	491	ბრიუგე-დებრეცენი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
23.45	492	სელტიკი-ტეპლიცე	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
24.00	493	ლივერპული-ლევსკი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
24.00	494	სოშო-ინტერი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
00.30	495	ვალენსია-ბეშიქთაში	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
01.15	496	ბენფიკა-რუსენბორგი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
		ლიბერტადორესის თასი						
		25 თებერვალი						
01.00	500	მარაკაიბო-ონსე კალდასი	2,7	3,1	2,35	1,44	1,25	1,33
02.00	501	ფენიქსი-ველესი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
04.15	502	რივერ პლეიტი-ლიბერტადი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
06.30	503	უნივერსიტარია-ალიანსა	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
		26 თებერვალი						
02.00	504	სან პაულუ-კობრელოა	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
04.15	505	როსარიო-სპორტინგ კრისტალი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
06.30	506	სენსიანო-ელ ნასიონალი	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5505	დეპორტივო-იუვენტუსი	3.0	2.8	2.0
5506	პორტუ-მანჩესტერი	3.0	2.8	2.0
5507	სოსიედადი-ლიონი	3.0	2.8	2.0
5508	შტუტგარტი-ჩელსი	3.0	2.8	2.0

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

5405	დეპორტივო-იუვენტუსი	1.8	2.0
5406	პორტუ-მანჩესტერი	2.0	1.8
5407	სოსიედადი-ლიონი	1.7	2.2
5408	შტუტგარტი-ჩელსი	1.9	1.9

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5205	დეპორტივო-იუვენტუსი	1.65	1.95
5206	პორტუ-მანჩესტერი	1.75	1.85
5207	სოსიედადი-ლიონი	1.7	1.9
5208	შტუტგარტი-ჩელსი	1.7	1.9

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5305	დეპორტივო-იუვენტუსი	1.7	1.9
5306	პორტუ-მანჩესტერი	1.65	1.95
5307	სოსიედადი-ლიონი	1.65	1.95
5308	შტუტგარტი-ჩელსი	1.65	1.95

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
5005	დეპორტივო-იუვენტუსი	2.8	2.05	3.5	1.18	1.55	1.29
5006	პორტუ-მანჩესტერი	3.5	2.05	2.8	1.29	1.55	1.18
5007	სოსიედადი-ლიონი	2.35	2.05	4.2	1.11	1.54	1.37
5008	შტუტგარტი-ჩელსი	3.2	2.05	3.1	1.24	1.57	1.23

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5105	დეპორტივო-იუვენტუსი	3,6	10,0	20,0	4,4	4,4	4,8	20,0	10,0	4,6
5106	პორტუ-მანჩესტერი	4,2	10,0	20,0	5,0	4,4	4,4	20,0	10,0	3,6
5107	სოსიედადი-ლიონი	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
5108	შტუტგარტი-ჩელსი	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,6	20,0	10,0	3,8

შემდეგ ეტაპზე გასვლა

25 თებერვალი

23.45	7005	დეპორტივო-იუვენტუსი	2,4	1,4
23.45	7006	პორტუ-მანჩესტერი	3,5	1,2
23.45	7007	სოსიედადი-ლიონი	1,85	1,75
23.45	7008	შტუტგარტი-ჩელსი	2,6	1,35

26 თებერვალი

20.00	7481	სპარტაკი-მალიორკა	2,8	1,3
20.00	7482	ვოლფსბურგი-ნიუკასლი	4,4	1,12
21.00	7483	გროცლინი-ბორდო	2,8	1,3
21.00	7484	გასიანთეფსი-რომა	4,0	1,15
22.00	7485	მარსელი-დნიპრო	1,15	4,0
22.30	7486	პარმა-გენჩლერბირლიგი	1,3	2,8
22.30	7487	პერუჯა-პსვ	2,8	1,3
22.30	7488	გალათასარაი-ვილიარეალი	1,9	1,7
23.00	7489	ოსერი-პანათინაიკოსი	1,55	2,1
23.30	7490	ბრიონდბიუ-ბარსელონა	4,0	1,15
23.30	7491	ბრიუგე-დებრეცენი	1,2	3,5
23.45	7492	სელტიკი-ტეპლიცე	1,3	2,8
24.00	7493	ლივერპული-ლევსკი	1,1	5,0
24.00	7494	სოშო-ინტერი	2,8	1,3
00.30	7495	ვალენსია-ბეშიქთაში	1,25	3,1
01.15	7496	ბენფიკა-რუსენბორგი	1,45	2,3

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

28.02	18.30	6001	გერმანია ბლ (XXII)	25 და ნაკლები – 1,9	27 და მეტი – 1,9
28.02	21.00	6002	იტალია A (XXIII)	23 და ნაკლები – 1,9	25 და მეტი – 1,9
28.02	22.30	6003	ესპანეთი Iდ (XXVI)	25 და ნაკლები – 1,9	27 და მეტი – 1,9
28.02	20.15	6004	საფრანგეთი Iდ (XXVI)	21 და ნაკლები – 1,9	23 და მეტი – 1,9
27.02	01.30	6005	პორტუგალია სლ (XXIV)	22 და ნაკლები – 1,9	24 და მეტი – 1,9
27.02	23.00	6006	ჰოლანდია Iდ (XXIII)	25 და ნაკლები – 1,9	27 და მეტი – 1,9
27.02	23.30	6007	ბელგია Iდ (XXIV)	25 და ნაკლები – 1,9	27 და მეტი – 1,9

ჩემპიონები და თასის აღება

9001
ინგლისი (28.02)

არსენალი 1,1
მანჩესტერი 4,4
ჩელსი 10.0

9002
გერმანია (28.02)

ვერდერი 1,5
ბაიერნი 2,1
შტუტგარტი 10,0
ლევერკუზენი 25,0

9003
იტალია (28.02)

მილანი 1.4
რომა 4.0
იუვენტუსი 5,0

9004
ესპანეთი (28.02)

რეალი 1,05
ვალენსია 5.0
დეპორტივო 8,0

9005
საფრანგეთი (28.02)

მონაკო 1,25
ლიონი 3,2
პსჟ 6,0

9006
პორტუგალია (28.02)

პორტუ 1,01
სპორტინგი 10,0
ბენფიკა 30,0

9007
ჰოლანდია (29.02)

აიაქსი 1,02
პსვ 6,5

9008
ავსტრია (28.02)

აუსტრია 1,5
რაპიდი 3,5
გრაცერი 4,0

9009
დანია (14.03)

ბრიონდბიუ 1,3
ესბიერგი 4,0
კოპენჰაგენი 5,0

9010
საბერძნეთი (28.02)

ოლიმპიაკოსი 1,6
პანათინაიკოსი 2,0
პაოკ 15,0

9011
უკრაინა (07.03)

შახტარი 1,55
დინამო 1,95

9022
უეფას თასი (26.02)

რომა 5,6
ვალენსია 6,0
ბარსელონა 6,0
ინტერი 6,0
ლივერპული 6,0
ნიუკასლი 8,0
პარმა 10,0
სელტიკი 12,0
მარსელი 15,0
ბორდო 25,0
მალიორკა 25,0
პსვ 25,0
ოსერი 25,0
გალათასარაი 30,0
ბრიუგე 30,0
პერუჯა 30,0
ბენფიკა 30,0
ვილიარეალი 30,0
ბეშიქთაში 30,0
სოშო 40,0
პანათინაიკოსი 40,0
რუსენბორგი 50,0
სპარტაკი 60,0
გენჩლერი 60,0
ბრიონდბიუ 60,0
გასიანთეფსი 100,0
გროცლინი 100,0
ტეპლიცე 100,0
დნიპრო 100,0
ლევსკი 150,0
დებრეცენი 250.0
ვოლფსბურგი 250,0

9031
NHL (05.04)

კოლორადო 4,0
დეტროიტი 5,0
ფილადელფია 5,5
ვანკუვერი 6,0
ნიუ ჯერსი 6,5
ოტავა 7,0
ტორონტო 7,5
სტ.ლუისი 12,0
დალასი 12,0
ბოსტონი 18,0
სან ხოსე 18,0
ლოს ანჯელესი 20,0
ტამპა ბეი 20,0
რეინჯერსი 30,0
კალგარი 30,0
ატლანტა 40,0
მინესოტა 40,0
აილენდერსი 40,0
მონრეალი 40,0
ანაჰაიმი 50.0
ნეშვილი 50,0
ედმონტონი 60,0
ფინიქსი 60,0
კაროლინა 100,0
ბუფალო 100,0
ფლორიდა 100,0
ჩიკაგო 150,0
კოლამბუსი 150.0
პიტსბურგი 200.0
ვაშინგტონი 200.0

9032
NBA (15.04)

ლეიკერსი 1.8
საკრამენტო 3.5
სან ანტონიო 5.0
მინესოტა 7.0
დალასი 8.0
ინდიანა 10.0
დეტროიტი 15.0
ნიუ ჯერსი 15.0
ნიუ ორლეანი 30.0
ჰიუსტონი 50.0
ფილადელფია 60.0
ბოსტონი 60.0
დენვერი 60.0
ნიუ იორკი 60.0
ტორონტო 60.0
მილუოკი 75.0
იუტა 100.0
პორტლენდი 100.0
სიეტლი 100.0
მემფისი 100.0
გოლდენ სტ. 150.0
კლიპერსი 150.0
ფინიქსი 200.0
მაიამი 200.0
კლივლენდი 200.0
ორლანდო 300.0
ატლანტა 300.0
ვაშინგტონი 300.0
ჩიკაგო 300.0

სტუდენტური რევერანსი

მარადმწვანე ბრინჯაოსმედალოსანი „სტუ-ჯეოსელი“ ახლა ისეთ იმტაზეა, რომ ეროვნული ჩემპიონატის მესამე ადგილი ალბათ აღარ დააკმაყოფილებს. ტექნიკოსებმა კვირას შესუსტებული შემადგენლობითაც დაამარცხეს ჩემპიონი და „დინამო“, რაც მათი თავკაცის ნუგზარი ჭეიშვილის თქმით, სულაც არ ყოფილა მოულოდნელობა. ის კი არა, ჭეიშვილი ყველაზე მეტად გამოცდილი კალათბურთელებით გაძეძგილ თსუ-ს უფრთხის, რომელსაც ჯერ არ გამოუჩენია თავის რეალური ძალა

ნუგზარ ჭეიშვილი

თსუ ყველაზე საშიშია

— ბატონო ნუგზარ, გილოცავთ „დინამოს“ დამარცხებას, თქვენ ზედიზედ მეორედ მოახერხეთ დრაჟენ ბრაიკოვიჩისთვის დუელის მოგება... როგორ ახერხებთ ამას?

— სულხან-საბას იგავის არ იყოს, ხეზე ასვლას ხომ არ ვასწავლიდიო... ეს ცხადია, ხუმრობით. მთავარი ალბათ მონდომება და გამარჯვების დიდი სურვილი იყო. თავისი საქმე გააკეთა ფიზიკურმა მომზადებამაც. ამ მხრივ ჩემი გუნდი არავის ჩამოუვარდება საქართველოს ჩემპიონატში.

— სურვილი სურვილად და როცა სრული შემადგენლობა არ გყავს, ძნელია წარმატების მიღწევა...

— ამ მხრივ მართლაც არ გვილხინდა. ალეკო დავითულიანმა და ზვიად ბაბაშვილმა ტრავმების გამო არ ითამაშეს, ირაკლი ჯაფარიძე კი სიცხიანი გავიდა მოედანზე. ასეთ ვითარებაში ძნელია მოგებაზე ფიქრი, მით უმეტეს, როცა მეტოქე „დინამოა“, მაგრამ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. ჩემი გუნდი მოგებას იმსახურებდა და ასეც მოხდა.

— კონკრეტულად ვის გამოარჩევდით, რისი და ვისი დამსახურებაა სტუ-ს გამარჯვება?

— არავის გამორჩევა არ მინდა, ყველამ გული დადო მოედანზე, თავის საქმეს აკეთებდა ოგანესიანიც, ნიკოლაძეც, მარკოიშვილიც... არმენამ ფარი დაიპყრო, რაც ალბათ დინამოელთა ცენტრის დავით მუშკუდიანის არყოფნის გამოც მოხდა, ხოლო მარკოიშვლი, ნიკოლაძე და ხეცურიანი სწრაფი გარღვევებით აწუხებდნენ მეტოქეს. კარგად ჩაერთო თამაშში გიორგი გაგნიძე, რომელიც თანდათან შედის ფორმაში.

— ამ სეზონში სტუ-მ ზედიზედ მეორედ აჯობა „დინამოს“ და წაგებების რაოდენობით თუ დავითვლით, უკვე გაუთანაბრდით ბრაიკოვიჩის გუნდს. ეს წარმატება საჩემპიონო განაცხადის გაკეთებისკენ ხომ არ გიბიძგებთ?

— ჩემპიონობა, რა თქმა უნდა, გვინდა, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი ცოტა ნაადრევია. რაც დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ არავის არაფერს დავუთმობთ. სტუ-სთან არავინ ელოდოს გასეირნებას. ჯერ კიდევ არ ვართ სასურველ ფორმაში, „რუსთავიდან“ გადმოსულ ირაკლი ჯაფარიძეს საადაპტაციოდ ერთი თვე მაინც დასჭირდება, აი, მერე კი ნაღდად კარგი გუნდი ვიქნებით.

— ეს ფაქტობრივად საჩემპიონო განაცხადია...

— „სტუ-ჯეოსელი“ ძალიან კარგი გუნდი იქნება და თუ ჩემპიონი გახდება, ვის უნდა გაუკვირდეს. ისე, ცოტა უხერხულია ჩემგან საჩემპიონო განაცხადებების კეთება, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემს გემოზე არაა ეს გუნდი შერჩეული. ვინ „დინამოსგან“ დაწუნებულია, ვინ „ბასკოდან“, ანაც თსუ-დან წამოსული, სტუ სულ ასე იყო, ერთი სეზონის გუნდია — ბიჭებს შევარჩევ, მოვაძლიერებ, მერე კი ისინი უფრო შემძლე გუნდებს მიჰყავთ.

— თუმც თქვენს გუნდს ახლა არაფერი ეტყობა საიმისო, რომ ძლიერი გუნდებისგან მორჩენილი მოთამაშეებისგან შედგა...

— მიხარია, რომ ასეა, ჩემი მიზანიც ხომ ესაა, კალათბურთელი მუდამ პროგრესს უნდა განიცდიდეს.

— ლეგიონერიც რომ ჩამოგეყვანათ, ალბათ ჩემპიონობაზეც უფრო ხმამაღლა ილაპარაკებდით...

— არავის ჩამოუყვანია და... ახლა დრო ამოწურულია, თუმცა რომც გვქონდეს ნებართვა, ვფიქრობ, მაინც არ ჩამოვიყვანდით უცხოელს. ჯაფარიძე გუნდს მოერგება და მერე აქეთ გვიფრთხილდნენ სხვები.

— ვის მიიჩნევთ ჩემპიონობის ყველაზე რეალურ კანდიდატად?

— თსუ-ს, ყველაზე საშიში გუნდი სწორედ ესაა. მას ისეთი კალათბურთელები ჰყავს, ყველაფერი მოსალოდნელია.

ირაკლი პერტაია

ოცნებას გუნდი არ მოუკლავს

ოლიმპიას ოლიმპი მ[illegible]

პირველი ჯგუფური ეტაპის ვნებანი ჯერ რიგიანად არ ჩამცხრალა, რომ ევროლიგამ ახალ ჯგუფებში გაანაწილა გუნდები და 3 მარტიდან ტურნირსაც განაახლებს.

ბარსელონის „პალაუ სან ხორდიში“ ანუ სწორედ იქ, სადაც ევროლიგის შარშანდელი ოთხთა ფინალი გაიმართა, ტურნირის მამებმა მეორე ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა მოაწყვეს. 16 ელიტარული გუნდი 4 ჯგუფში განაწილდა, რომელთაგან ერთი უმალვე მოინათლა სიკვდილის ჯგუფად.

F ჯგუფში თავი მოიყარა შარშანდელი ოთხთა ფინალის სამმა მონაწილემ — „ბარსელონამ“, „ბენეტონმა“ და „სიენამ“, ხოლო მეოთხე, ათენის „პანათინაიკოსი“, ევროლიგის შარშანწინდელი გამარჯვებულია. ასეთ ჯგუფში, დედა შვილს არ აიყვანს და...

ჩვენთვის სიკვდილის ჯგუფზე საინტერესო ვინძლო E ჯგუფი იყოს, სადაც ევროლიგას შემორჩენილი ერთადერთი ქართველი თამაშობს და მერე როგორ. „ოლიმპია“ რომ ელიტარულ თექვსმეტეულში მოხვდა, ვლადიმერ ბოისას დამსახურებაა, რომელიც, ცხადია, ახლაც ეცდება ლიუბლიანელთა ოთხთა ფინალში გატრევას, მაგრამ ვეჭვობთ, გამოუვიდეს.

ისე კი, თუ ყოველდღე 27-ქულიანი მატჩები გამოაცხო, რატომაც არა, ოლიმპიელებს არცთუ ბოლომდე მეტოქენი შეეყარნენ E ჯგუფში. ფავორიტი თურქული „ეფესია“, რომელსაც ნაღდად არა აქვს ისეთი რეპუტაცია, წინდაწინ ოთხთა ფინალისტად გამოვაცხადოთ. „ოლიმპიასთვის“ არც ბოლონიური „სკიპერია“ აუღებელი ციხესიმაგრე და ფრანგული „პო ორტეზი“ ხომ ისედაც დაბრიყვებული ჰყავს — პირველ ჯგუფურ ეტაპზე ორჯერვე მოუგო.

ასე რომ, ვლადიმერ ბოისას ჯერ კიდევ მოუწევს დიდი ბრძოლების გადახდა, მით უფრო, რომ ოლიმპიელთა მწვრთნელი საშო ფილიპოვსკი თურმე იქადნება, სულ არ მაინტერესებს ჯგუფში რა გუნდები შეგვხვდა, ტოპ 16-ში ყველა მეტოქე ერთია და არავისთან დათმობას არ ვაპირებთო.

ერთადერთი ქართველიო, ზემოთ კი ვთქვით, მაგრამ იმის მცირე შანსიც არსებობს, რომ ცსკა-ს დუბლებში ათამაშებულ გიორგი ცინცაძეს დიდ გუნდშიც გაუხსნან გზა — ამის იმედი თავად ცინცაძეს აქვს და არცთუ უსაფუძვლოდ. თუ მართლაც მისცეს შანსი, ცინცაძეს ან „ციბონასთან“ მოუწევს შებმა ან „ტაუსთან“, ეგებ „ოლიმპიაკოსთანაც“. გინდ ქართველით და გინდ უქართველოდ ცსკა ყველა ამათი დამმარცხებელია და თელ ავივში 29 აპრილიდან 1 მარტამდე გასამართ ოთხთა ფინალშიც სავარაუდოდ არმიელები გავლენ D ჯგუფიდან.

D ჯგუფი	E ჯგუფი	F ჯგუფი	G ჯგუფი
ცსკა	**ეფესი**	**ბარსელონა**	**მაკაბი**
ციბონა	**სკიპერი**	**ბენეტონი**	**პამესა**
ტაუ	**ოლიმპია**	**სიენა**	**ულქერი**
ოლიმპიაკოსი	**პო ორტეზი**	**პანათინაიკოსი**	**ჟალგირისი**
3-4 მარტი	*3 მარტი*	*4 მარტი*	*4 მარტი*
ცსკა — ოლიმპიაკოსი	სკიპერი — ოლიმპია	სიენა — ბარსელონა	ულქერი — ჟალგირისი
ციბონა — ტაუ	პო ორტეზი — ეფესი	პანათინაიკოსი — ბენეტონი	პამესა — მაკაბი
10-11 მარტი	*10-11 მარტი*	*10-11 მარტი*	*10-11 მარტი*
ოლიმპიაკოსი — ტაუ	ოლიმპია — ეფესი	ბარსელონა — ბენეტონი	ჟალგირისი — მაკაბი
ცსკა — ციბონა	სკიპერი — პო ორტეზი	სიენა — პანათინაიკოსი	ულქერი — პამესა
17-18 მარტი	*17-18 მარტი*	*17-18 მარტი*	*17-18 მარტი*
ციბონა — ოლიმპიაკოსი	პო ორტეზი — ოლიმპია	პანათინაიკოსი — ბარსელონა	პამესა — ჟალგირისი
ტაუ — ცსკა	ეფესი — სკიპერი	ბენეტონი — სიენა	მაკაბი — ულქერი
24-25 მარტი	*24-25 მარტი*	*24-25 მარტი*	*24-25 მარტი*
ოლიმპიაკოსი — ცსკა	ოლიმპია — სკიპერი	ბარსელონა — სიენა	ჟალგირისი — ულქერი
ტაუ — ციბონა	ეფესი — პო ორტეზი	ბენეტონი — პანათინაიკოსი	მაკაბი — პამესა
31 მარტი — 1 აპრილი	*31 მარტი — 1 აპრილი*	*31 მარტი — 1 აპრილი*	*31 მარტი — 1 აპრილი*
ოლიმპიაკოსი — ციბონა	ოლიმპია — პო ორტეზი	ბარსელონა — პანათინაიკოსი	ჟალგირისი — პამესა
ცსკა — ტაუ	სკიპერი — ეფესი	სიენა — ბენეტონი	ულქერი — მაკაბი
7-8 აპრილი	*7-8 აპრილი*	*7-8 აპრილი*	*7-8 აპრილი*
ტაუ — ოლიმპიაკოსი	ეფესი — ოლიმპია	ბენეტონი — ბარსელონა	მაკაბი — ჟალგირისი
ციბონა — ცსკა	პო ორტეზი — სკიპერი	პანათინაიკოსი — სიენა	პამესა — ულქერი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

23 თებერვალი

მემფისი 109:106 დენვერი

მემფისი: უილიამსი (10), ველსი (17), პოუზი (20), გასოლი (25), რაიტი (7); დეტიე (10), სვიფტი (8), აუთლოო (6), უოტსონი (6), ჯონსი

დენვერი: მილერი (12), ლენარდი (21), ენტონი (26 ქულა, 14 მოხსნა), ნენე (10), კემბი (15 ქულა, 18 მოხსნა, 5 დაფარება); ბოიკინსი (10), ვაიტი (6), ბერი (4), დოლიკი (2), ანდერსენი

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

მაიამი 81:89 პორტლენდი

მაიამი: ვეიდი (12), ჯონსი (11), კ. ბატლერი (8), ოდომი (25), გრანტი (8); რ. ბატლერი (9), ალსტონი (6), ჰეისლიმი (2)

პორტლენდი: სტუდემაიერი (18), ანდერსონი (20), მაილზი (6), რენდოლფი (22 ქულა, 12 მოხსნა), რეთლიფი (4); აბდურრაჰიმი (9), პატერსონი (8), დიკაუ (2), კუკი, ვუდსი

სტეფანია სათადარიგო იყო

კლივლენდი 104:100 ნიუ ორლეანი

კლივლენდი: ბუზერი (24), ჯეიმსი (21), კაპონო (19)

ნიუ ორლეანი: დევისი (34), მაშბურნი (23)

ფილადელფია 66:76 დეტროიტი

ფილადელფია: სნოუ (12), ტომასი (10 ქულა, 18 მოხსნა)

დეტროიტი: ჰამილტონი (15), ბ. ვოლესი (12 ქულა, 13 მოხსნა, 6 დაფარება), რ. ვოლესი (10 ქულა, 11 მოხსნა, 4 დაფარება)

რაშიდ ვოლესმა „დეტროიტის“ მაისურით პირველი თამაში მოიგო

დრო მიდის, რუსეთი კართან დგას

პორტუგალიასა და ესპანეთთან ჯიუტობილა ქულის ამღებ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ერთა თასის დარჩენილ სამ შეხვედრაში წარმატების რეალური შანსი ალბათ მხოლოდ დებიუტანტ ჩეხეთთან დარჩა. ყოველთვის უხერხულ მეტოქედ მიჩნეულ, მაგრამ მეტნილად ძლიერულ რუსეთთან და პირველ ქალაქში, მძლეველ რუმინეთთან ჯი ახალმა გუნდმა საეჭვოა, გამარჯვება შეძლოს. ერთადერთ იმედად ტრავმირებულ ლეგიონერთა მალე მომჯობინებაღა რჩება. სხვანაირად „დათვების" მომრევი თხუთმეტეულის პოვნა 6 მარტის მატჩამდე შეუძლებელი იქნება

მიხეილ ბურძგლა
ძველ მტერს ძველი გვარდიით დავხვდებით

ბადრი კეკელაძის ფოტო

პორტუგალიასთან ამყამინდელ სათამაშო ფორმასა და სამომავლო პერსპექტივაზე ესპანეთიდან დაბრუნებულ ნაკრების მენეჯერ მიხეილ ბურძგლას გავესაუბრეთ. პირველ რიგში კი, რასაკვირველია, კატალონიური მატჩის კონტექსტით დავიწყეთ:

— ესპანეთში გამოცდილი მოთამაშეები აშკარად დაგვაკლდნენ. ძველი შემადგენლობა 99 პროცენტით გადახალისებულია და ახალ გუნდს შეთამაშება სჭირდება. პორტუგალიის შემდეგ სამი მოთამაშე საფრანგეთიდან დავიმატეთ და მათგანაც მეტს ველოდით. განსაკუთრებით ჰუკერისგან (დავით დადუნაშვილი). ეს ბიჭები მომავალში აუცილებლად შეძლებენ რაგბის თამაშს, მაგრამ ჯერ ადრეა.

— თუ შეიძლებოდა ესპანეთში მოგება და პირველ რიგში რა დაგვაკლდა?

— ბევრი ნიუანსი, რომლებიც ისევ და ისევ გუნდის შეუკვრელობით იყო გამოწვეული. სათამაშო დისციპლინა და კონკრეტულ ეპიზოდებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება ერთი შეხედვით ადვილი რამაა და მორაგბეებს თამაშამდე რომ ჰკითხო, ზუსტად გეტყვიან, როდის როგორ უნდა იმოქმედონ. თუმც უშუალოდ თამაშის დროს იმხელა ფსიქოლოგიურ სტრესში არიან, სწორი აზროვნება უჭირთ. ეს გამოუცდელობის ბრალია და ნელ-ნელა გამოსწორდება. ესპანელთა ძლევა კი მაინც შეიძლებოდა. უპირატესობასაც ვფლობდით და რამდენიმე მომენტიც გვქონდა, მიუხედავად იმისა, რომ გადამწყვეტ მომენტებში ბევრჯერ შევცდით. ჩვენი დერეფანიც წავაგეთ და შერკინებაც დაგვიტრიალეს.

— პორტუგალიის შემდეგ დამატებულ ქულებმა რამდენად გაამართლეს მწვრთნელთა იმედები?

— ახლებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ბარკალაიას რთული პოზიცია მივანდეთ და უშეცდომოდ გაართვა თავი. პოზიციასაც კარგად ირჩევდა და ბურთის გადატანასაც ახერხებდა. ნორმალურად ითამაშა უჩავამაც, მაგრამ ტრავმა მიიღო და ანდღულაძით შევცვალეთ. ისიც აქტიურად ჩაერთო შეტევებში. საკმაოდ პერსპექტიულია გუგავაც.

— თქვენი აზრით, საქართველოს ნაკრებმა პორტუგალიასთან უკეთ ითამაშა თუ ესპანეთთან?

— პორტუგალიასთან. ესპანეთში გაცილებით მეტი შეცდომა დავუშვით. თბილისური მატჩისგან განსხვავებით, ბევრი საკუთარი დერეფანიც წავაგეთ. მსაჯზე აუგი არ გვეთქმის, მაგრამ ესპანელები შერკინებას შეგნებულად გვიტრიალებდნენ და მსაჯს შეეძლო, ერთხელ მაინც შეენიშნა.

— მაშასადამე, ესპანეთმა უფრო ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა?

— დაახლოებით თანაბარი დონისანი ვართ.

— რუსეთმა და რუმინეთმა ის გუნდები გაანადგურეს, ჩვენ რომ ვერ მოვუგეთ. მათთან თუ გვაქვს წარმატების შანსი?

— შანსი, რა თქმა უნდა, გვაქვს. მთავარია, ოპტიმალურ შემადგენლობას მოვუყაროთ თავი. გამოცდილი მოთამაშეები ტრავმებს იშუშებენ და თუ მათი დამატება მოესწრება, შედეგზეც რეალურად ვიფიქრებთ. სხვა შემთხვევაში აშკარად გავიჭირდება.

— თუ ისაუბრეთ სარუსეთო ცვლილებებზე?

— მწვრთნელები ყოველდღიურად ვმუშაობთ და ვცდილობთ, საუკეთესო ვარიანტები მოვძებნოთ. ჯერ ნამდვილად არ ვიცით, ვის დავიმატებთ. შეიძლება ლეგიონერებმა ტრავმები მოიშუშონ, მაგრამ სათანადო ფორმას ვერ მიაღწიონ. ამიტომ მათ მზადყოფნასაც უნდა მივადევნოთ თვალი. ერთადერთი, რაც უკვე გარკვეულია, ისაა, რომ ბესიკ უდესიანის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა და 6 მარტს თამაშს ვერ შეძლებს.

— ესე იგი, თუ ლეგიონერები ვერ გამოჯანმრთელდნენ, რუსეთთან მოგების იმედი არ უნდა გვქონდეს?

— ახალ ნაკრებში მოთამაშენი მაგ დონეზე სათამაშოდ ნამდვილად არ არიან მზად. რუსების დასამარცხებლად ყველაზე მეტად შერკინების გაძლიერება დაგვჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატება თითქმის გამორიცხულია.

ოთარ მაღლაკელიძე

რეგულარული ჩემპიონატი

რონ ფრენსისი

აი, შაირი!
ფრენსისმა რიშარს გაუსწრო

23 თებერვალი

სან ხოსე 4:2 კოლუმბუსი
2:1 0:0 2:1
0:1 კლესლა (3), 1:1 მაკოლი (5), 2:1 შტურმი (20), 3:1 ჩიჩუ (41), 3:2 ერიკსონი (51), 4:2 ჩიჩუ (57)

„სან ხოსე" თითქოს ტრადიციად აქცია — მატჩის დაწყებისთანავე მოიპოვებს უპირატესობას და მერე სხვაობის გაზრდაზეღა ზრუნავს, თუმც ამჯერად „ცისფერჟაკეტიანებმა" სიურპრიზი მოუმზადეს და სწრაფი გოლი თავად გიტანეს. „სან ხოსე" უკვე ისეთი თავდაჯერებულია, მეტოქის ამ „ეშმაკობამაც" ვერ გაჭრა.

ვაშინგტონი 3:6 ტამპა
1:2 1:0 1:4
0:1 სიდორი (1), 1:1 ბუმეიენი (15), 1:2 ლეკავალიე (16), 2:2 უილსი (22), 3:2 კარტერი (42), 3:3 მოდინი (45), 3:4 ანდრეიჩუკი (46), 3:5 ფედოტენკო (57), 3:6 სან ლუი (59)

ტამპელ ლეიბ ანდრეიჩუკს იტყობა, არ ბოლწონს, დეტროიტელი ბრენტ ჰალი რომ დაწყნარებულიყო — ბრაზში რიცხვმრავლობამ ბოლოს გატანილი 263 გოლით. მომდევნო ორ მატჩში მან 3-ჯერ გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა და ერთპიროვნულად შეინარჩუნა პირველობა ნჰლ-ის ყველა დროის სიაში. ვნახოთ, ჰალი რითი უპასუხებს.

ტორონტო 1:2 კაროლინა
0:0 1:1 0:1
1:0 ანტროპოვი (35), 1:1 კოული (38), 1:2 ფრენსისი (45)

რომ ვიკითხოთ, მორის რიშარსა და რონ ფრენსისს შორის რომელი მიგაჩნიათ გამორჩეულ მეგოლედო, ალბათ ბევრი გაოცდება. რა საკითხავია, რა თქმა უნდა, „რაკეტა" რიშარიო, იტყვის და მართალიც იქნება. „მონრეალის" კაშკაშა ვარსკვლავი მართლაც რომ საგოლე მანქანა გახლდათ... 40 წლის კანადელი რონ ფრენსისი კი თავის ხანგრძლივ კარიერაში უფრო პასებით იყო ცნობილი (ნჰლ-ის ისტორიაში მეორე მეპასეა), მაგრამ თანდათან გოლებიც იმდენი დაუგროვდა, რომ გუშინ 545-ედ გაიტანა და დიად რიშარს გაუსწრო.

„როგორია, პლეიმეიკერმა თავისი სახელი მორის რიშარის გვერდით ამოიკითხო" — დაიტრაბახა კიდეც ფრენსისმა.

ლოს ანჯელესი 3:0 ნეშვილი
1:0 1:0 1:0
1:0 ლაპერიე (9), 2:0 კამალერი (23), 3:0 ლაპერიე (47)

რეინჯერსი 1:4 მონრეალი
0:2 1:1 0:1
0:1 კოივუ (2), 0:2 რიბეირო (20), 1:2 იაგრი (34), 1:3 ბრისბუა (37), 1:4 უორდი (14)

ბოსტონი 0:2 ფლორიდა
0:0 0:1 0:1
0:1 ჰორდიჩუკი (23), 0:2 ლილია (50)

ედმონტონი 1:1 დეტროიტი
1:0 0:0 0:1 0:0
1:0 ჩიმერა (7), 1:1 ლიდსტრიომი (53)

ფინიქსი 1:1 ანაჰაიმი
0:0 1:1 0:0 0:0
0:1 კროგი (24), 1:1 ლენგკოუ (39)

ჩემპიონთა ლიგა. ჯაჭვები
მეოთხედფინალი

გერმანია მეოთხედფინალშიც ფინალშია

სიუდად რეალი (ესპანეთი) 33:24; 28:25 **ფლენსბურგი** (გერმანია)
ფლენსბურგი (გერმანია) 30:27; 28:26 **ზაგრები** (ხორვატია)
პიკ სეგედი (უნგრეთი) 30:31; 24:28 **მაგდებურგი** (გერმანია)
პივოვარნა ლაშკო (სლოვენია) 32:25; 28:28 **ლემგო** (გერმანია)

იანვარში ევროპირველობის მიზეზით ერთთვიანი შესვენების შემდეგ განახლდა ვაჟ ხელბურთელთა ჩემპიონთა ლიგის გათამაშება. გაიმართა მეოთხედფინალური მატჩები.

საუკეთესო რვეულში უდანაკარგოდ ჩაეწერა ტურნირში სამი გუნდით წარმოდგენილი გერმანია, ასევე სამკლუბა ესპანეთს კი ერთიღა შერჩა. თუმც იმ ერთადერთმა „სიუდად რეალმა" მეოთხედფინალი წარმატებით დაძლია და თასისთვის ბრძოლას გააგრძელებს.

ესპანელებს მეტოქედ ლიგის შარშანდელი ფინალისტი „ფოტექსი" ჰყავდათ. გამარჯვებული ფაქტობრივად, პირველივე შეხვედრის მერე გაირკვა, როდესაც 5200 გადარეული ქომაგის მხარდაჭერით შეგულიანებულმა რეალელებმა მეტოქეს ცხრაბურთიანი სხვაობით სძლიეს. მასპინძელთაგან საუკეთესო იყო გაესპანელებული ექსაბჭოელი, 35 წლის ტალანტ დუიშებაევი, რომლის ცხრა ნატყორცნმა უწია მიზანს.

უნგრეთმა მეორე წარმომადგენელიც დაკარგა — „პიკ სეგედმა" გერმანიის ჩემპიონ „მაგდებურგს" მედგარი წინააღმდეგობა კი გაუწია, მაგრამ მაინც მოუხდა ფარხმალის დაყრა. მართალია, გერმანელთა ლიდერმა სტეფან კრეჩმარმა ორ შეხვედრაში თავისთვის არც ისე ბევრი, ცხრა გოლი მიითვალა, მაგრამ მაინც დამაჯერებლად ლიდერობს ბომბარდირთა დავაში.

მაგდებურგელებს პროვინციულმა „ფლენსბურგმა" „ზაგრების" ძლევით აუბა მხარი. ხორვატებს საპასუხო თამაშში ზაგრების სპორტის სასახლეში 10 000 ქომაგის მხარდაჭერამაც ვერ უშველა.

მესამე გერმანული გუნდი „ლემგო" კი ევროპის ვიცეჩემპიონი სლოვენიის საუკეთესო კლუბს ცელიეს „პივოვარნას" შემოემარცხა.

გუშინ ვენაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბბინაში ასპარეზობას შემორჩენილი ოთხეულის წილისყრა მოეწყო. ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან „მაგდებურგი" — „ფლენსბურგი" და „სიუდად რეალი" — „პივოვარნა". მატჩები 14 და 21 მარტს გაიმართება.

ამრიგად, უკვე დღესვე ცნობილია, რომ ერთ-ერთი ფინალისტი გერმანული კლუბი იქნება.

ნაკლები უნდა იხმაურო
ჰოკეისტი მილიონერმა გალახა

ნახეთ, რა ტკბილად საუბრობენ „ვაშინგტონის" მფლობელი ტედ ლეონსისი და გუნდის ქომაგი ვინმე ჯეისონ ჰამერი, მაგრამ 26 იანვარს უნდა გენახათ ესენი. მაშინ საპატიო ლოჟაში მჯდომი ლეონსისი სწორედ ჰამერის მიტანილმა პლაკატმა და ჰოკეისტისადმი ნათქვამმა სიტყვებმა გააცოფა, თან ისე, რომ ამ რესპექტაბელურმა ბატონმა ვეღარ მოითმინა და ახალგაზრდას ერთი-ორი უთაქა. კიდევ კარგი, რომ მალე გააშველეს, თორემ ჰამერი (ეს გვარი უროს ნიშნავს) გვარიანად დაზარალდებოდა. ამას ლეონსისის ერთი კვირით დისკვალიფიკაცია მოჰყვა და თან 100 000 დოლარითაც შეუმსუბუქდა ჯიბე. „ვაშინგტონის" მფლობელმა მერე მოუბოდიშა ახალგაზრდას, მაშინ ძალიან ვნერვიულობდი გუნდის გამო. ახლა დედაქალაქელებმა პლეი ოფში გასვლის ყველა შანსი დაკარგეს და ბატონ ლეონსისსაც რაღა აქვს სანერვიულო, მომავალ სეზონზეღა ფიქრობს.

ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 19 თებერვალი - 5 მარტი

V ტური

პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5
გარი კასპაროვი (რუსეთი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) 0,5:0,5
თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) — ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) 0,5:0,5
ალექსეი შიროვმა (ესპანეთი) დაისვენა

კრამნიკმა კასპაროვთან ოთხწლიანი პაუზა აიღო

ოთხი წლის წინ ლონდონში, მსოფლიოს კლასიკური ჩემპიონის გამოსავლენ მატჩში, კრამნიკმა მასწავლებელ კასპაროვს სძლია და პლანეტა აალაპარაკა, ეს რა ბიჭი გამოზრდილაო. მას შემდეგ ამ დიდოსტატთა შეხვედრა მუდამ ყურადღების ცენტრშია, თუმც უმცროსი ჩემპიონი კარგი თამაშით ვეღარ ბრწყინავს.

ლინარესულ ჯაჭში მეტოქეებმა საწყის სვლებში მხედარ-პაიკი გაცვალეს და ცენტრის დაპყრობას შეუდგნენ. თანდათან კასპაროვი მცირე სათამაშო უპირატესობას დაეუფლა. თუმც კრამნიკი ზრახვებს მალე მიუხვდა და დოფაზე წონასწორობა აღადგინა. უკვე პარტიის შუაწელში, 25-ე სვლაზე მოჭადრაკეებს შეეძლოთ, ყაიმით დაესრულებინათ შეხვედრა, როცა მხედრებით სვლა ორჯერ გაიმეორეს, მაგრამ წარმოშობით ებრაელ რუსს მხოლოდ მოგება სურდა და სვლა შეცვალა. როგორც ჩანს, კრამნიკმა კარგად იცოდა კასპაროვის ძალა, მასთან შეტევებს მოერიდა და დარჩენილი არმია საკუთარ ტერიტორიაზე გაამწკრივა. კასპაროვმა იერიშები გაძლიერა, თუმცა დაცვაში კარგად მოთამაშე კრამნიკი შეცდომაზე ვერ დაიჭირა და 44-ე სვლაზე ყაიმს დაყაბულდა.

ყველაზე გრძელი პარტია ლეკოს და ტოპალოვს გამოუვიდათ. მადიარმა თამაში იერიშებით დაიწყო, მაგრამ ხელი მოეცარა და ცენტრში ბულგარელი გაბატონდა. მდგომარეობის გასამუხტად უნგრელმა შეწირვა განახორციელა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და საქმე უფრო გაირთულა. როგორც ჩანს, ტოპალოვი თავიდან ასეთ შედეგს არ ელოდა, ძალიან აიშვა და ყოყოჩინობის გამო მალე დაისაჯა, მე-40 სვლაზე მოსაგები პოზიცია დაკარგა. ათიოდე სვლაში ლეკომ თითქმის წაგებული პარტიაში ნახევარი ქულა აიღო.

შავი ფიგურებით მოთამაშე ვალეხოს შეეძლო ნორჩი აზერბაიჯანელის გატეხვა, თუმც პარტიის ბოლოსთვის დრო საკმაოდ შემოეხარჯა და იძულებული გახდა, მეტოქისთვის ქულა გაეყო.

ლაშა გეგეჭკორი

1 პეტერ ლეკო (უნგრეთი)	2,5 ქულა/4 თამაში
2 ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	2,5/5
3 გარი კასპაროვი (რუსეთი)	2/4
4 ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი)	2/4
5 ალექსეი შიროვი (ესპანეთი)	2/4
6 ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	2/4
7 თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	2/5

კრივი

ოთხში ერთი არის

ნიკა იზორიამ ლიცენზია დაიბევა

ხორვატიულ კულაში მიმდინარე მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე წუხელ მეოთხედფინალები გახურდა, რაც კიდევ ორი დღე გაიწელება. საქართველოს ნაკრებიდან ამ დონეს ოთხმა მიაღწია. კონსტანტინე კუპატაძისა (57კგ) და ნიკა იზორიას (51კგ) შესახებ გუშინ შეგატყობინეთ. პირველი შეხვედრების შემდგომ ბრძოლას შერჩენილი ხუთი თანაგუნდელიდან მათ მხოლოდ ორი კახაბერ ჟვანია (64კგ) და მალხაზ ბერკაცაშვილი მიემატა. ცხინვალელი დიმიტრი ფუხაევი (91კგ) და ნაკრების ორი ყველაზე გამოცდილი წევრი — ავთანდილ კაშია (60კგ) და ვლადიმერ ჭანტურია (+91კგ) კი ტურნირს გამოეთიშნენ.

მეოთხედფინალში გასულ ქართველებს მედლებამდე და შესაბამისად ოლიმპიურ ლიცენზიამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებათ. სულ ბოლო ინფორმაციით ერთმა მათგანმა უკვე აისრულა საწადელი — ნიკა იზორიამ გუშინ საღამოს თურქი კადრი კოდრელი დაამარცხა და მინიმუმ ბრინჯაოს მედალი და მასთან ლიცენზია მოიპოვა.

გუშინვე კრივობდა კახაბერ ჟვანია.

ბერკაცაშვილი—საიტოვის ბრძოლა დღეს შედგება. დღესვე იჩხუბებს კუპატაძეც.

ოთარ მაღლაკელიძე



ტრასაზე დაგვანახეგით!

მაკებმა ჩვენება პირველ რბოლამდე გადადეს

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

უდიდესი შეძლება-გაქანების მიუხედავად, ახალზელანდიელი მრბოლ ბრიუს მაკლარენის სახელობის გუნდი მეორე წელია, წინასასეზონო პრეზენტაციაზე უარს ამბობს. ვერცხლისფერთა უფროსობამ შარშან ეს იმით ახსნა, რომ ახალი ბოლიდი ჯერ მზად არ ჰქონდათ და ამიტომაც არ ეზეიმებოდათ.

ამჯერად თითქოს ყველაფერი რიგზე იყო: 2004 წლის მოდელი სხვებზე ადრე, ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში გამოსცადეს და მართალია, სიახლეს თავიდანვე არც სისწრაფე დაეწუნებოდა და არც საიმედოობა, ბოსობა მაინც თავს იზღვევს. აღმოჩნდა, რომ ახალთასალი MP4-19 საბოლოო ვარიანტი არაა და წლის განმავლობაში მანქანის კიდევ სამ მოდიფიკაციას ვიხილავთ, ჩანაფიქრით ერთი-მეორეზე უკეთესს.

არა და, ბოლო დროს მაკებს მართლაც აღარ აქვთ საზეიმოდ საქმე. ოთხი წელია, რაც „სამეფო რბოლებში“ შედეგ-მიღწევებით მეორე საჯინიბო („ფერარის“ შემდეგ) ვერც პირად ჩათვლაში ელირსა პირველობას და ვერც გუნდურში. ის კი არა, ბოლო ორ სეზონში კონსტრუქტორთა თასზე თავიანთთვის სამარცხვინო, მესამე პოზიციამდეც ჩამოქვეითდნენ.

გამოსავლის ძებნაში რონ დენისმა „ფერარის“ მთავარი აეროდინამიკოსი ნიკოლას ტომბასისი გადაიბირა. ოღონდ ბერძენი სპეციალისტი „მაკლარენის“ წამყვანი აეროინჟინრის თანამდებობას აპრილამდე ვერ დაიკავებს, რადგან საშშობლოში, საბერძნეთში სავალდებულო სამხედრო სამსახური აქვს გასავლელი.

„მაკლარენის“ პილოტთა ფინურ-შოტლანდიური ტანდემი უცვლელი კი დარჩა, მაგრამ თუ შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ კიმი რაიკონენს თავი ქუდში აქვს, დევიდ კულჰარდს ფორმულაში ადგილის შესანარჩუნებლად მაგარი ბრძოლა ელის. როგორც ცნობილია, გაისად გუნდში „უილიამსიდან“ ხუან-პაბლო მონტოია გადავა, და რაკი რაიკონენს კონტრაქტით ადგილი გარანტირებული აქვს, გამოდის, რომ 33 წლის კულჰარდს მოუწევს აბარგება. ამიტომ დევიდმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა საკუთარი ტყავი რაც შეიძლება ძვირად გაყიდოს და რომელიმე წამყვანი საჯინიბოს შეფს თავი მოაწონოს.

ნოემბერ-დეკემბრის იმედისმომცემი ტესტების შემდეგ ახალ „მაკლარენს“ ნაახალწლევს უხეირო პერიოდი დაუდგა. მანქანა ვეღარც სწრაფობდა და „მერსედესის“ ძრავაც ხშირად ფუჭდებოდა. რაიკონენი პანიკაში ჩავარდა, თუმც თებერვალში ვითარება გამოსწორდა და „ყინულის კაც“ კიმისაც განწყობა გამოუკეთდა, რამდენიმე საუკეთესო სატესტო დღე გვქონდა და იმედია, ახალი მანქანა მიხაელ შუმახერთან საჩემპიონო ბრძოლის შანსს მომცემსო.

ცნობისთვის, ექვსგზის ტიტულოსანმა შუმიმ თავის უმთავრეს მეტოქეთა შორის, რაიკონენის, საკუთარი ძმის რალფისა და მის თანაუილიამსელ ხუან-პაბლო მონტოიას გარდა, მოსახსნელად განწირული კულჰარდიც დასახელა.

გია ახალაძე

მაკლარენი

გუნდი დაარსდა 1963 წელს
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1966 წლიდან
559 რბოლა; 137 მოგება; 114 პოული;
112 უსწრაფესი წრე; 2888,5 ქულა
ჩემპიონის ტიტული — 11
კონსტრუქტორთა თასი — 8
2003 წელს — მესამე ადგილი (142 ქულა)
გუნდის მფლობელი და დირექტორი **რონ დენისი**
ტექნიკური დირექტორი **ედრიან ნიუი**
„მერსედეს-ბენცის“ ვიცე-პრეზიდენტი **ნორბერტ ჰაუგი**
ბოლიდი **„მაკლარენ MP4-19“**
ძრავა **„მერსედეს FO 110Q“ (V10)**
საბურავები **„მიშლენ პილოტი“**
ტესტ პილოტები **ალექსანდრ ვურცი** (ავსტრია, 30 წლის)
და **პედრო დე ლა როსა** (ესპანეთი, 33 წლის)



კიმი რაიკონენი

დევიდ კულჰარდი

ფინეთი

დაიბადა 1979 წლის 17 ოქტომბერს
ესპუუში
ცხოვრობს შვეიცარიაში
უცოლო
სიმაღლე 175სმ; წონა 63კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (2001)
პირველი გამარჯვება:
მალაიზიის დიდი პრიზი (2003)
50 რბოლა; 1 მოგება; 2 პოული;
4 უსწრაფესი წრე; 124 ქულა
2003 წლის მსოფლიოს
ვიცე-ჩემპიონი
2001 წელს ასპარეზობდა
„ზაუბერში“ (X ადგილი)
„მაკლარენშია“ 2002 წლიდან

დიდი ბრიტანეთი

დაიბადა 1971 წლის 27 მარტს
ტვინპოლმში (შოტლანდია)
ცხოვრობს ტვინპოლმსა და
მონტე კარლოში
უცოლო
სიმაღლე 182სმ; წონა 73კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ესპანეთის დიდი პრიზი (1994)
პირველი გამარჯვება:
პორტუგალიის დიდი პრიზი (1995)
157 რბოლა; 13 მოგება; 12 პოული;
18 უსწრაფესი წრე; 451 ქულა
2001 წლის მსოფლიოს
ვიცე-ჩემპიონი
ასპარეზობდა „უილიამსში“ (1994-95)
„მაკლარენშია“ 1996 წლიდან

ათასმეერთე ომის ზღაპარი

ფილმი გამოსულა ასეთი, „გოთიკა“, რომლის პრეზენტაცია მადრიდში შედგა და ჯერ ვერ მოგახსენებთ, რამდენად კარგი სურათი გახლავთ. თრილერის ჟანრისაა, გვატყობინებენ და პრეზენტაციის წინ მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტ ენრიკე კერეზოს, „ატლეტიკოსავე“ ფეხბურთელ ველიკო პაუნოვიჩს და „გოთიკას“ ამერიკელი ტოპსტარის ჰელი ბერის ფოტოსაც გვიგზავნიან.

REUTERS ლოს ანჯელესიდან

REUTERS მადრიდიდან

მისტერ ბასი კინოში

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ პატრონი ჯერი ბასი ფილმ „თვისთად“-ის პრემიერაზე ყოფილა. რახან ფილმი არ გვინახავს, მის სათაურსაც ძნელად მოგახსენებთ. შეიძლება იყოს „ამოიბრუნებული“, „გრეხილი“, „დაკლაკნილი“, თუ როგორც არის. ისე კი ფილმი განგსტერულია და პოლიციელი ქალი სერიულ მკვლელს დასდევს. ამ გოგოცუნებს ლიზა და ჯესიკა ჰქვიათ, თუმც, მათი რაობისას „როიტერი“ არაფერს იტყობინება.

REUTERS ათენიდან

ახალი რეკორდი

აი, ახალი მსოფლიო რეკორდი ჭოკით სტომაში. რა თქმა უნდა, ქალთა შორის და, რა თქმა უნდა, ჭერქვეშ. რუსი სვეტლანა ფეოფანოვა ბარე, 4,85 მეტრზე გადებულ თამასას გადაეგლო. ეს ამბავი „ათენი 2004“-ის საერთაშორისო ტურნირზე მოხდა. უკრაინელ ისიმბაევას მიერ დონეცკში დამყარებულმა წინა რეკორდმა ათ დღეს თუ გაძლო.

ამაო

ნიუ ორლეანელი დარელ არმსტრონგს საშქულიანი გაუტყორცნია და ჩაუგდია კიდეც კლივლენდელთა კალათში, თვითონ კი მაყურებლებში გადავარდნილა. ნიუორლეანელები ბარე 24 ქულასაც უგებდნენ „კავალერებს“, მაგრამ საბოლოოდ მაინც 100:104 დამარცხებულან.





REUTERS ტოკიოდან

პიოპო-ოლიმპიელი

იაპონიაში გახურებულა ქალთა ჭიდაობა. ეს სიმწრით მებრძოლი გოგო კიოკო ჰამაგუჩი იმგვარი ჩაუქი ყოფილა, რომ ათენის ოლიმპიადის საგზურიც უშოვნია. ის აქამდეც გახლდათ მსოფლიოს ჩემპიონი 72 კილოგრამამდე წონაში, მაგრამ ქალთა ჭიდაობა ხომ წელს პირველად შეიქნება ოლიმპიური ბრძოლის სავანი.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდიოდა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge